

ბუღალტრული უღრიცხვა



ISSN 1512-0805

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№ 7 (306)
ივლისი
2022

25 წელი იქნა...



საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა
და აუდიტორთა ფედერაცია

ბუღალტრული აღრიცხვა

ყოველთვიური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი
რეფერირდება „ქართულ რეფერირებულ ჟურნალში“

სტუ, ტექნიფორმი ISSN 1512-0775

№ 7 (306)

ივლისი

2022

რედაქტორი ლავრენტი ჭუმბურიძე

გამოცემის რედაქტორი საბა ძაძამია

სარედაქციო კოლეგია: ბაბი ალავერდაშვილი; კონსტანტინე დათიაშვილი;
ნადეჟდა კვატაშიძე; დალი სოლოლაშვილი; რუსუდან ქუთათელაძე;
რევაზ ძაძამია; იზოლდა ჭილაძე.

რედაქცია შეიძლება არ იზიარებდეს ავტორის აზრს. შემოსული მასალები ავტორებს არ
უბრუნდებათ. ავტორები თავად აგებენ პასუხს ფაქტების, ციფრებისა და ციტატების სიზუსტეზე.

შინაარსი

ინფორმაცია ფედერაციიდან

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

პროფესიული მომსახურების კლასიფიკატორი 26

პროფესიული სერტიფიცირების პრეტენდენტთა დასახმარებლად

რეგულირება გავი ალგორითმული

გადახრების ანალიზი ნორმატიული დანახარჯების საფუძველზე
მოდული „მმართველობითი აღრიცხვა“ 30

ბოლდრიჯის საქმიანობის შედეგების სრულყოფილების მოდელი
მოდული „სტრატეგიული ბიზნესლიდერი“ 41

საბა ძახამია

გლობალური ეკონომიკა სუსტი ზრდისკენაა მიმართული 48

სტანდარტების პროექტი იძლევა ძლიერ საფუძველს
კორპორატიული კლიმატის მნიშვნელოვანი გამჟღავნებისთვის 50

ოფიციალური მასალები 52

კითხვა-პასუხი 60

ინფორმაცია პირუბიდან 66

რედაქციის მისამართი: 380054, ქ. თბილისი

წერეთლის გამზირი №61. ტელ./ფაქსი: 235-01-57; 235-67-56; 235-43-97

რეკვიზიტები: „თი-ბი-სი ბანკი“ ა/ა GE40TB060000007467286 საიდენტიფიკაციო კოდი 203 855 220

ფასი 6 ლარი

დამკაბადონებელი: ნ. ყაველაშვილი

კორექტურა: თ. ცქიტიშვილი

© ბაფი 2022 წელი ჟურნალი რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოში
18.09.1997 წ. რეგისტრაციის № 4/4-1236



საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა
და აუდიტორთა ფედერაცია (ბაფი)



კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ. თბილისი, 2022

ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და
აუდიტორთა ფედერაციის“ („ბაფი“) გამგეობას

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის“ („ბაფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის“ („ბაფი“) ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო სანარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს - ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ

ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციისაგან“ („ბაფი“) ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს - ფასს), ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის“ („ბაფი“) ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის“ („ბაფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ბედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ♦ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ან-გარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ♦ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის“ („ბაფი“) შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ♦ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობისა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ♦ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის“ („ბაფი“) ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია“ („ბაფი“) უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ♦ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის“ („ბაფი“) ხელმძღვანელობას ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, ხელმძღვანელობას გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და ხელმძღვანელობას ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან. ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ აუცილებლობის შემთხვევაში.

შპს „ინტელექტაუდიტის“ სახელით (რეგ. №SARASF583489)
გარიგების პარტნიორი, აუდიტორი
ლაშა ვეფხვაძე (რეგ. № SARAS-A-730184)
29 ივლისი 2022 წელი

	შენიშვნები	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ამონაგები	5	910,444	1,134,908
სხვა შემოსავლები	6	298,256	348,395
ცვლილებები მარაგის ნაშთში		(53,649)	(57,307)
შეძენილი ნედლეული და მასალები		(67,489)	(137,901)
დასაქმებულ პირთა გასამრტელოები		(763,071)	(869,322)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(35,380)	(40,179)
სხვა ხარჯები	7	(367,975)	(425,301)
მოგება დაბეგვრამდე		(78,864)	(46,707)
საგადასახადო ხარჯი		-	(12,353)
წლიური მოგება		(78,864)	(59,060)
სრული შემოსავლის მთლიანი თანხა		(78,864)	(59,060)
სათაო საწარმოს წილი		(72,473)	(63,421)
არა მაკონტროლებელი წილი		(6,391)	4,361

	შენიშვნები	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	683,385	720,116
არამატერიალური აქტივები	9	4,515	5,538
გუდვილი	16	5,111	5,679
სულ გრძელვადიანი აქტივები		693,011	731,333
მიმდინარე აქტივები			
მარაგი	10	105,666	159,315
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	321,546	286,398
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	12	715,906	757,376
სულ მიმდინარე აქტივები		1,143,118	1,203,089
სულ აქტივები		1,836,129	1,934,422
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
ბაფის განვითარების ფონდი	13	1,407,013	1,459,682
გაუნაწილებელი მოგება ზარალი		(78,864)	(59,060)
არა მაკონტროლებელი წილი		300,166	306,557
სულ საკუთარი კაპიტალი		1,628,315	1,707,179
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	197,300	210,593
საგადასახადო ვალდებულებები	15	10,514	16,650
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		207,814	227,243
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,836,129	1,934,422

	ბაფი-ს განვითარების ფონდი	არამაკონტრო- ლებელი წილი	სულ
31.12.2019 წაშთი	1,464,043	336,496	1,800,539
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	(63,421)	4,361	(59,060)
გაცემული დივიდენდი	–	(34,300)	(34,300)
31.12.2020 წაშთი	1,400,622	306,557	1,707,179
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	(72,473)	(6,391)	(78,864)
გაცემული დივიდენდი	–	–	–
31.12.2021 წაშთი	1,328,149	300,166	1,628,315
		2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან			
კლიენტებიდან მიღებული ფულადი სახსრები		1,017,559	1,253,065
საწევრო შენატანები		147,883	144,609
სხვა საოპერაციო შემოსავლები		51,128	40,376
გადახდილი ხელფასები		(637,199)	(601,880)
გადახდილი გადასახადები		(296,064)	(320,135)
ადმინისტრაციულ და სხვა არასაოპერაციო ხარჯებზე გადახდები		(101,625)	(312,174)
მომწოდებლებზე გადახდილი ფული		(93,519)	(139,233)
გაცემული დივიდენდი		–	(31,219)
გადახდილი იჯარა		(110,375)	(103,370)
გადახდილი საწევრო		(16,506)	(15,278)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		(38,718)	(85,239)
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან			
გრძელვადიანი აქტივის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი		–	(6,000)
ძირითადი საშუალებების შეძენა		(2,752)	(5,810)

წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(2,752)	(11,810)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა	(41,470)	(97,048)
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	757,376	854,424
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	715,906	757,376

1. ზოგადი ინფორმაცია

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (ბაფი) საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, წარმოადგენს წევრობაზე დაფუძნებულ პროფესიულ ორგანიზაციას (რეგისტრირებული კავშირი). ბაფის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი 61. ბაფის საქმიანობა, ძირითადად, უკავშირდება ბუღალტერთა და აუდიტორთა მომზადებას, გადამზადებას, პროფესიულ სერტიფიცირებასა და განგრძობით განათლებას. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ბაფისა და მისი შვილობილი კომპანიების შპს „პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის“ და შპს „ჟურნალი ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშებას“ წლიურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

შპს „პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტი“-ს ძირითადი საქმიანობის საგანია საგანმანათლებლო საქმიანობა, ბუღალტერთა მომზადება, გადამზადება.

შპს „ჟურნალი ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშება“ გამოსცემს ყოველთვიურ სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალს „ბუღალტრული აღრიცხვა“.

ბაფის ეკონომიკური საქმიანობა, ძირითადად, უკავშირდება ბუღალტერთა და აუდიტორთა მომზადებას, გადამზადებას, პროფესიულ სერტიფიცირებასა და განგრძობით განათლებას.

ბაფი საქმიანობას ახორციელებს სათაო ოფისისა (ქ. თბილისი წერეთლის გამზირი 61) და შემდეგი რეგიონალური და რაიონული ფილიალების მეშვეობით:

- ◆ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალი;
- ◆ იმერეთის რეგიონალური ფილიალი;
- ◆ სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონალური ფილიალი;
- ◆ კახეთის რეგიონალური ფილიალი;
- ◆ რუსთავის რაიონული ფილიალი;
- ◆ ფოთის რაიონული ფილიალი
- ◆ გორის რაიონული ფილიალი

2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

(ა) შესაბამისობის დეკლარაცია

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2021 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სა-აღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

(გ) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადანაცვებების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფინანსურ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა.

კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ შესაბამისი ფინანსური რეზერვი, აგრეთვე, ბაფის ფინანსური მდგრადობის გარანტია, ასევე წმინდა აქტივების ღირებულება და ლიკვიდობის მაღალი დონე, საფრთხეს არ უქმნის კომპანიას ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

2.1. კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგება შედგება ბაფისა და მისი შვილობილი კომპანიების შპს „პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის“ და შპს ჟურნალი ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგებისაგან. იგი ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებულია ყველანაირი შიდა ჯგუფური ოპერაცია, ნაშთი, შემოსავალი და ხარჯი.

ბაფის შვილობილი კომპანიის შესახებ ინფორმაცია:

სახელწოდება	ძირითადი საქმიანობა	რეგისტრაციის და საქმიანობის ადგილი	ფლობილი წილი/ხმის უფლების მქონე წილი (%)	
			31/12/2021	31/12/2020
1. შპს „პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტი“	ბუღალტერთა მომზადება, გადამზადება	საქართველო	51	51
2. შპს ჟურნალი ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება	პერიოდული სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის გამოცემა	საქართველო	100	20

2.2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენისა და შეფასებისას გამოყენებული მეთოდები

კონსოლიდაციის პრინციპები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ფინანსურ ინფორმაციას ჯგუფის, როგორც ერთი მთლიანი ეკონომიკური ერთეულის შესახებ. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად:

- ა) გაერთიანებულია ბაფის და მისი შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგება მუხლობრივად, აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების ანალოგიური მუხლების დაჯამებით;
- ბ) გამორიცხულია შვილობილ საწარმოში ბაფის მიერ განხორციელებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება და ბაფის წილი შვილობილი საწარმოების საკუთარ კაპიტალში;
- გ) შეფასებული და ასახულია არა მაკონტროლებელი წილი, კონსოლიდირებული შვილობილი საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში, ბაფის წილისგან განცალკევებით;
- დ) შეფასებული და ასახულია არა მაკონტროლებელი წილი კონსოლიდირებული შვილობილი საწარმოების წმინდა აქტივებში, ბაფის წილისაგან განცალკევებით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ამონაგები

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ საგაჯრო ფას დათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფას დათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღი-

არდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

- ა) საწარმო მიყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;
- ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;
- დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და
- ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება

3.2 ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც

ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ბარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ბარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ბარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ბარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ცვეთის თანხა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია ინდივიდუალურად და იგი მერყეობს 2-დან 10 წლამდე. სააღრიცხვო ჯგუფების მიხედვით ცვეთის ნორმა შეადგენს:

შენობა-ნაგებობები	2- 5%
ოფისის აღჭურვილობა	20-30%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	25-50%
სატრანსპორტო საშუალებები	10-15%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ბარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ბარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ბარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 15 პროცენტი.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

გუდვილი

საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი გუდვილი აისახება თვითღირებულებიდან დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ბარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. გუდვილის ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით, შეფასებულ სასარგებლო მომსახურების ვადაზე 10 წელზე.

მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ბარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ბარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება Fifo ფორმულა.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც საწარმოს აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ბარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ბარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ბარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება იმ თანხის საუკეთესო შეფასებით, რომელიც აუცილებელი იქნებოდა (თანხა, რასაც საწარმო, გონივრულ ფარგლებში, დახარჯავდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს) ამ ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღისათვის.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ბარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ბარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ბარალის აღიარება. გაუფასურების ბარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

საწარმო აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვლათა, ტექნოლოგიური მიღწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები, რომელიც შეიძლება მიაწინებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალოს უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ. თუ არსებობს რაიმე მსგავსი ნიშნები, საწარმო გადახედავს წინა შეფასებებს და თუ ახლანდელი შეფასებები მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისგან, შეცვლის აქტივის ნარჩენი ღირებულებას, ცვეთის მეთოდს ან სასარგებლო მომსახურების ვადას. საწარმომ აქტივის ნარჩენი ღირებულების, ცვეთის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება ასახავს, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილებას.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის (შენიშვნა 4) გამოყენებისას ხელმძღვანელობას მოეთხოვება მსჯელობის, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ, რომელთა ღირებულება გარკვევით ვერ მიიღება სხვა წყა-

როებიდან. შეფასებები და დაკავშირებული დაშვებები ემყარება წარსულ გამოცდილებას და სხვა შესაფერის ფაქტორებს.

ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა.

განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროებია:

სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის მსჯელობის საკითხია, მსგავს აქტივებთან დაკავშირებით მათ გამოცდილებამ დაყრდნობით. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს. ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი

კომპანია ქმნის საეჭვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვს, რათა აღრიცხოს მომხმარებლების მიერ გადახდების განხორციელების უუნარობის შედეგად მიღებული შეფასებული ზარალი. საეჭვო ვალების რეზერვების ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა თავისი შეფასების საფუძვლად იყენებს საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას, დებიტორული დავალიანებების ნაშთების ხანდაზმულობას, წარსულში ჩამოწერის გამოცდილებას, მომხმარებლის კრედიტუნარიანობას და გადახდის პირობების ცვლილებებს.

5. ამონაგები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
მომსახურების განვეა	681,927	847,303
საქონლის გაყიდვა	123,057	182,237
სხვა საოპერაციო შემოსავალი	105,460	105,368
სულ ამონაგები	910,444	1,134,908

რეალიზაცია მოიცავს, როგორც საქონლის ისე საკუთარი წარმოების პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგებს. სასწავლო პროცესის შემოსავლებში გაერთიანებულია ბაფისა და შპს პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული ყველა ტიპის ტრენინგებიდან და გამოცდებიდან მიღებული ამონაგები.

6. სხვა შემოსავლები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ფიზიკური პირების სანვერო	130,704	141,188
კორპორაციული წევრების სანვერო	89,000	89,000
საპროცენტო შემოსავალი	55,785	60,356
სხვა შემოსავალი	17,273	31,607
განვერიანების საფასური	2,310	2,440
არასაოპერაციო შემოსავალი (საგადასახადო შელავათი)	1,389	–
საკურსო სხვაობა	1,795	–
უსასყიდლოდ შეძენილი წიგნები	–	23,804
სულ სხვა შემოსავლები	298,256	348,395

7. სხვა ხარჯები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
შეძენილი მომსახურება	305,047	318,274
ჩამოწერილი სანვეროები	26,999	65,664
გადახდილი სანვეროები	16,506	15,278
საგადასახადო ხარჯი	7,076	13,319
ჩამოწერილი ძირ. საშუალებების საბალანსო ღირებულება	4,262	4,891
სხვა ხარჯი	2,327	1291
უიმედო ვალი	2,000	2,350
ქველმოქმედება და დახმარება	1,930	2,498
წარმომადგენლობითი ხარჯი	1,828	1,736
სულ სხვა ხარჯები	367,975	425,301

8. ძირითადი საშუალებები

18

ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.2021	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2020
შენობა -ნაგებობები	662,887	–	–	662,887
ოფისის აღჭურვილობა	178,685	2,035	(8,178)	184,828
ავტო და ინვენტარი	133,544	298	(6,822)	140,068

სატრანსპორტო საშუალება	105,775	-	-	105,775
ბიბლიოთეკა	1,329	-	-	1,329
ჯამი	1,082,219	2,332	(15,000)	1,094,887
ცვეთა	ნაშთი 31.12.2021	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწმება	ნაშთი 31.12.2020
შენობა-ნაგებობა	107,361	8,244		99,117
ოფისის აღჭურვილობა	139,801	11,089	(7,296)	136,008
ავეჯი და სხვა ინვენტარი	111,780	3,893	(2,430)	110,317
სატრანსპორტო საშუალება	39,375	10,500	-	28,875
ბიბლიოთეკა	517	63		454
ჯამი	398,834	33,789	(9,726)	374,771
საბალანსო ღირებულება	683,385	(31,457)	(5,274)	720,116

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი)

- მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;
- ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;
- აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რიის ვალდებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

ვინაიდან მოსალოდნელია გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

9. არამატერიალური აქტივები

ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.2021	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2020
შეძენის ღირებულება				
ლიცენზია Strados Studio	5,467	-	-	5,467
საბუღალტრო პროგრამა "ორისი"	5,200	-	-	5,200
პროგრამა ICS(მართვის სისტემა)	4,450	-	-	4,450
ჯამი	15,117	-	-	15,117

ამორტიზაცია	ნაშთი 31.12.2021	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.2020
პროგრამა ICS (მართვის სისტემა)	3,893	207		3,686
ლიცენზია Strados Studio	3,558	483		3,075
საბუღალტრო პროგრამა „ორისი“	3,151	333		2,818
ჯამი	10,602	1,023	–	9,579
საბალანსო ღირებულება	4,515	(1,023)	–	5,538

არამატერიალური აქტივების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

10. მარაგი

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
მზა პროდუქცია, წიგნები	99,477	149,939
სხვა მარაგი	649	8,513
საქონელი, აუდიტის სტანდარტები	5,540	863
სულ მარაგები	105,666	159,315

საქონლის ნაშთის შემადგენლობაში გაერთიანებულია ბაფში შემოწირულობის სახით მიღებული წიგნები და საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამა “ორისი”. მზა პროდუქციის ნაშთში - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები, ხარისხის კონტროლისა და აუდიტის სტანდარტები და ACCA სახელმძღვანელოები. სხვა მარაგში - წიგნების თარგმნისა და გამოცემის უფლების, ბაფისა და შპს პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის საკანცელარიო ნივთებისა და საწვავის ნაშთი.

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
მოთხოვნები წევრებთან	261,172	233,319
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახ.	45,895	54,353
გაუფასურების ზარალის თანხა	(32,520)	(47,354)
სავაჭრო დებიტორების საბალანსო ღირებულება	274,547	240,318
მ.შ. დაკავშირებული მხარეებისაგან მისაღები	1000	2,000
სხვა მხარეებისაგან მისაღები	273,547	238,318
საგადასახადო მოთხოვნები	21,083	15,705
მოთხოვნები პერსონალთან	150	308
წინასწარი გადახდები	25766	30,067
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	321,546	286,398

12. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ფულადი სახსრები სალაროში	709	3,097
ფულადი სახსრები ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე	301,397	33,516
მოკლევადიანი ვადიანი ანაბრები ბანკში	413,800	720,763
სულ ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	715,906	757,376

13. ბაფ-ის განვითარების ფონდი

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის განვითარების ფონდი ფორმირებულია გასულ წლებში ეკონომიური საქმიანობიდან მიღებული მოგების საფუძველზე, რომელიც მოიცავს

ინვესტიციას შვილობილ კომპანიებში - 312400 ლარი

შეძენილ გრძელვადიან აქტივებს 280500 ლარი

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების მარაგს /სახელმძღვანელო, ლიტერატურა/ 153700 ლარი

ბაფის წევრებზე დარიცხულ და ამოუღებელი საწევრო დავალიანებას 185965 ლარი
ფაქტიური რეზერვს /დეპოზიტზე განთავსებული თავისუფალი თანხა/ 420000 ლარი.

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	12,123	20,764
მ.შ. დაკავშირებული მხარეებისათვის გადასახდელი	5,900	5,900
სხვა მომწოდებლებისათვის გადასახდელი	6,223	14,864
წინასწარ მიღებული თანხები	171,728	121,883
სხვა	9,049	5,173
გადასახდელი ხელფასები	4,400	62,773
ჯამი	197,300	210,593

სავაჭრო ვალდებულებებში შეტანილი ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულება

საწარმოს ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს საოფისე ფართი, დარჩენილი 5 წლის ვადით. საიჯარო გადასახდელების გადახდა ხდება ფიქსირებული თანხით. ხარჯად აღიარებული საიჯარო გადასახდელები შეადგენს:

	2021 წ.	2020 წ.
საიტარო ქირა	89760	89760
წლის ბოლოს სანარმოს გააჩნია შეუქცევადი ჩვეულებრივი იჯარის მომავალი მინიმალური საიტარო გადასახდელების შემდეგი ვალდებულებები:		
არა უგვიანეს ერთი წლისა	74755	74755
ერთი წლის შემდეგ და არა უგვიანეს ხუთი წლისა	373775	373775
ხუთი წლის შემდეგ		
ჯამი	488530	488530

15. საგადასახადო ვალდებულებები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
გადასახდელი დღგ	8,421	613
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	1,968	14,361
გადასახდელი სოციალური გადასახადი	67	1,676
გადასახდელი მოგების გადასახადი	58	–
ჯამი	10,514	16,650

16. საწარმოთა გაერთიანება გუდვილი

შპს ჟურნალი „ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგებას“ შესყიდვა:

2020 წლის 29 იანვარს მაისს კომპანიამ შეისყიდა შპს ჟურნალი „ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგებას“ 100%-იანი წილი. ჟურნალი „ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება“ დაფუძნდა 1997 წლის 18 სექტემბერს, რომლის ძირითადი საქმიანობაა ყოველთვიური ჟურნალის „ბუღალტრული აღრიცხვას“ გამოშვება, ჟურნალში რეკლამის განთავსება. ჟურნალის აგრეგირებული ამოცნობადი აქტივებისა და ვალდებულებების პირობითი სამართლიანი ღირებულებები შესყიდვის თარიღისთვის იყო:

	შეძენისას აღიარებული სამართლიანი ღირებულება
მიმდინარე აქტივები	
მარაგები	15,605
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	763
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	1,679
სხვა მიმდინარე აქტივები	–
სულ მიმდინარე აქტივები	18,046
სულ აქტივები:	18,046
მოკლევადიანი ვალდებულებები	

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17,506
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	–
საგადასახადო ვალდებულებები	139
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	17,645
სულ ვალდებულებები	17,645

შეძენილი წმინდა აქტივების რეალური ღირებულება	401
თარიღისათვის წმინდა აქტივების რეალური ღირებულებაში 100%	321
გადაცემული კომპენსაცია	6,000
გუდვილი	5,679

ამ შესყიდვით კომპანია თავის ბიზნესს აფართოებს, რადგან ხედავს ახალ შესაძლებლობებს და ღირებულების შექმნის პერსპექტივას საქართველოს ეკონომიკის ამ სექტორში. ჯგუფს მიაჩნია, რომ თავისი ამ სექტორის საოპერაციო ფულადი ნაკადების გაზრდის შესაძლებლობა აქვს. ხელმძღვანელობის აზრით, ეს შესყიდვა დადებით გავლენას მოახდენს ჯგუფის ღირებულებაზე.

ძირითადი ფაქტორი, რამაც წვლილი შეიტანა საწარმოთა გაერთიანების ღირებულებაში, რის შედეგადაც მოხდა გუდვილის აღიარება შეძენის დროს, არის ჯგუფის ოპერაციებზე ასახული სინერგია.

საბლაური 6000 ლარს შეადგენდა უნაღდო ანგარიშსწორებით, რომელიც სრულად იყო გადახდილი საანგარიშგებო თარიღისთვის. შეძენის შემდეგ, მფლობელობის სტრუქტურაში ცვლილება არ მომხდარა.

გუდვილი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსთვის:

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
საწარმოთა გაერთიანების შედეგად შეძენილი	5,679	5,679
ამორტიზაცია	(568)	–
გაუფასურების ზარალი	–	–
შვილობილი საწარმოს გაყიდვა	–	–
საკურსო სხვაობები	–	–
ჯამი	5,111	5,679

17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

- ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;
- ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;
- გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;
- დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

საწარმო დაკავშირებულ მხარეებზე განიხილავს:

- შვილობილ საწარმოებს - შპს ჟურნალი „ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება“ და „პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტი“;
- საბოლოო მაკონტროლებელი მხარე - ბაფი
- საწარმოები, რომლებზეც პირები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს - შპს „კონსალდი“ და შპს „ბუღალტერთა მომზადების ცენტრი“

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ოპერაციები მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ მყოფ საწარმოებთან:		
საოფისე იჯარა	10170	10170
დაუფარავი ნაშთების თანხა:		
სავაჭრო მოთხოვნები	1000	2000
სულ მოთხოვნები	1000	2000

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ოპერაციები მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ მყოფ საწარმოებთან:		
სასწავლო აუდიტორიების იჯარა	14830	14,830
საოფისე იჯარა	60000	60000
დაუფარავი ნაშთების თანხა:		
სავაჭრო ვალდებულებები	5900	5900
სულ ვალდებულებები	5900	5900

შვილობილი საწარმოდან საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციაში დივიდენდის სახით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა:

	2021	2020
შვილობილი საწარმოდან საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციაში დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი	-	35700

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა ისეთი მოვლენა რაც საჭიროებს გამჭვირვებას.

19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოსაქვეყნებლად ხელმოწერილია 2022 წლის 29 ივლისს.



შესავალი

პროექტირებული მომსახურების კლასიფიკატორი მომსადებელია მსოფლიოს 20 უმსხვილესი აუდიტორული ქსელის ვებ-გვერდებზე არსებული შეთავაზებების საფუძველზე და წარმოადგენს უნიკალურ საინფორმაციო-სახელმძღვანელო რესურსს, რომლის ანალოგები მსოფლიოში არ მოიძებნება.

კლასიფიკატორი მიზნად ისახავს საქართველოში რეგისტრირებული აუდიტორებისთვის და აუდიტორული ფირმებისთვის პროექტირებული მომსახურების სრული სპექტრის გაცნობას მსოფლიო საუკეთესო პრაქტიკის მაგალითზე, რათა მათ შეძლონ საქართველოს ბაზარზე უკვე დამკვეთებული მომსახურებების გარდა დამკვეთებისთვის ახალი ღირებული შეთავაზებების გაკეთება.

კლასიფიკატორი 280-მდე მომსახურების დასახელებას აერთიანებს, რომელიც დაჯგუფებულია მათი ერთგვაროვნების მიხედვით. დოკუმენტი მოიცავს მომსახურების ჯგუფის მოკლე აღწერილობას, შესაფერის პროექტირულ სტანდარტს, კანონმდებლობას ან სახელმძღვანელოს, შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის რისკის მანივნებელს აუდიტორულ მომსახურების დამკვეთებისთვის სხვა შეთავაზებების გაკეთების შემთხვევაში, პოტენციური ბაზრის სეგმენტს, მათ შორის მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერის სახელმწიფო თუ დონორული პროგრამების ბმულებს, აგრეთვე ამათუბო მომსახურებისთვის შესატყვის კვალიფიკაციას.

კლასიფიკატორი შეიქმნა მსოფლიო ბანკის და ევროკავშირის ფინანსური ჩართულობისა და ანგარიშგაღებულების ერთობლივი პროექტის მხარდაჭერით, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის შესაბამისად მოქმედი პროექტირული ორგანიზაციების ჩართულობით და განკუთვნილია ბუღალტრული/აუდიტორული პროექტის წარმომადგენლებისთვის, მეწარმეებისთვის, სახელმწიფო უწყებებისთვის და აკადემიური წრეებისთვის.

პროექტული მომსახურების ჯგუფი/სახელწოდება		ჯგუფის მოკლე აღწერილობა	პროექტული მომსახურების სტანდარტი, კანონმდებლობა ან სახელმძღვანელო	დამოუკიდებლობის რისკი აუდიტთან მიმართებით	პოტენციური ბაზრის სეგმენტი	შესაფერისი კვალიფიკაცია (ადგილობრივი ან საერთაშორისო ანალოგი)
1 აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება						
1.1	ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღიქმება		ასს		სდპ, 1-ლი, მე-2 კატ.	საწარმოები
1.2	ფინანსური ანგარიშგების წესდამდგომი აუდიტი		ასს		მე-3, მე-4 კატეგორიის საწარმოები	ფინანსური ინსტიტუტები
1.3	ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვა		მესს 2400		საწარმოები, აიპ-ები	საწარმოები, აიპ-ები
1.4	საფასურის დამოუკიდებელი აუდიტი		ასს 800, 805, 810		საწარმოები, აიპ-ები	რეგისტრირებული აუდიტორი
1.5	მე-3 მარწმუნებელი მომსახურება	დამოუკიდებელი პროექტული მომსახურება რომელიც მიმართულია აამსდლის ინფორმაციის ან ინფორმაციის კონტენტის სანდოობა ისე რომ, გადამწვერულებების მიმდებარე მარწმუნებელი უფრო მეტად უფრო, უფრო გადამწვერულებული.	მესს 3000	არ გამოიყენება	1-ლი, მე-2 კატეგორიის საწარმოები	1-ლი კატეგორიის საწარმოები
1.6	მე-3 მარწმუნებელი პროექტული მომსახურება		მესს 4400		საწარმოები, აიპ-ები	მუდმივადი საწარმოები
1.7	მე-3 მარწმუნებელი პროექტული მომსახურება		მითივება		საწარმოები, აიპ-ები	საწარმოები, აიპ-ები
1.8	არაფინანსური ანგარიშგების, მფრადობის ანგარიშგების აუდიტი		ასს		1-ლი კატეგორიის საწარმოები	1-ლი კატეგორიის საწარმოები
1.9	უბიკური აუდიტის მეთოდური კომპანიების აუდიტი		ასს		საწარმოები, აიპ-ები	საწარმოები, აიპ-ები
1.10	საწარმოების აუდიტი		ასს 800		1-ლი, მე-2 კატეგორიის საწარმოები	საწარმოები, აიპ-ები
1.11	საწარმოო სექტორის აუდიტი		მესს 3000		საწარმოები, აიპ-ები	საწარმოები, აიპ-ები
1.12	ინვესტიციების აუდიტი		ISSAI 3000-3001		საწარმოები, აიპ-ები	საწარმოები, აიპ-ები
1.13	შესაბამისობის აუდიტი		ISSAI 4000-4200		საწარმოები, აიპ-ები	საწარმოები, აიპ-ები
2 ბიზნეს საკონსულტაციო მომსახურება						
2.1	სტრატეგიული დეველპმენტი, მოგების წრე და აქციონერების ანგარიშგება				EBRD Advice for Small Businesses – საკონსულტაციო მომსახურების ფართო სპექტრი მცირე და საშუალო ბიზნესისთვის	საწარმოები, აიპ-ები
2.2	საბუღალტრო და ინფორმაციული ტრანსფორმაცია				საწარმოები, აიპ-ები	საწარმოები, აიპ-ები
2.3	რესტრუქტურირება				საწარმოები, აიპ-ები	საწარმოები, აიპ-ები
2.4	ბიზნესის განვითარება				საწარმოები, აიპ-ები	საწარმოები, აიპ-ები
2.5	მითივების გაცემა და საწარმოო კონსულტაციები				საწარმოები, აიპ-ები	საწარმოები, აიპ-ები
2.6	დამოუკიდებელი ბიზნეს მიმოხილვა				საწარმოები, აიპ-ები	საწარმოები, აიპ-ები
2.7	კონსულტაციები ბიზნეს სტრატეგიის და შესრულების გაუმჯობესების მიზნით				საწარმოები, აიპ-ები	საწარმოები, აიპ-ები
2.8	კონსულტაციები ფინანსური რეორგანიზაციაზე				საწარმოები, აიპ-ები	საწარმოები, აიპ-ები
2.9	კონსულტაციები ბიზნესის გასვლისაზე				საწარმოები, აიპ-ები	საწარმოები, აიპ-ები
2.10	საქარო ადმინისტრაციის და საჯარო ბიზნესის კომპანიის კონსულტაციები	რჩევების, მითითებების და საბუღალტრო დანაშაულის აღმოჩენა ბიზნესისთვის და სხვა ინფორმაციის მიწოდების მიზნით		მაღალი	საწარმოები, აიპ-ები	საწარმოები, აიპ-ები
2.11	მითივების გაცემა და მომსახურება დეველპმენტის მიზნით				საწარმოები, აიპ-ები	საწარმოები, აიპ-ები
2.12	ბიზნესის განვითარების სტრატეგია				საწარმოები, აიპ-ები	საწარმოები, აიპ-ები
2.13	კონსულტაციები მფრადობის და კორპორაციული სივრცის პასუხისმგებლობის საკითხებზე				საწარმოები, აიპ-ები	საწარმოები, აიპ-ები
2.14	ბიზნეს გეგმის მომზადება				საწარმოები, აიპ-ები	საწარმოები, აიპ-ები
2.15	ჯგუფური სარჩელების მომსახურება				საწარმოები, აიპ-ები	საწარმოები, აიპ-ები
2.16	მუდმივადი მენეჯმენტი (არა აღსრულებითი)				საწარმოები, აიპ-ები	საწარმოები, აიპ-ები
2.17	ბაზრის კვლევა და მარკეტინგი				საწარმოები, აიპ-ები	საწარმოები, აიპ-ები
2.18	საბუღალტრო სისტემის გადართობა				საწარმოები, აიპ-ები	საწარმოები, აიპ-ები
2.19	კონსულტაციები მარწმუნებელი მომსახურების მიზნით				საწარმოები, აიპ-ები	საწარმოები, აიპ-ები
2.20	კონსულტაციები კორპორაციული მართვის საკითხებზე				საწარმოები, აიპ-ები	საწარმოები, აიპ-ები
3 კაპიტალის გარიგებების საკონსულტაციო მომსახურება						
3.1	ბიზნესის აღდგენის მომსახურება					
3.2	კორპორაციული სტრატეგია					
3.3	გარიგებების სტრატეგია					
3.4	გარიგების დირექტორების განსაზღვრა					
3.5	ინფორმაციული კონსულტაციები					
3.6	საინვესტიციო ფონდები					
3.7	შესყიდვები და მერყეები					
3.8	კორპორაციული ფინანსების გარიგებები					
3.9	გაყიდვები და გამოყიდვები					
3.10	მუდმივადი მენეჯმენტი					
3.11	კაპიტალის მოძრაობა					
3.12	პროექტის დიფინანსება					
3.13	საწყისი საბაზო კვლევები და მუდმივადი					
3.14	პოტენციური ბიზნესების და კონკრეტული განსაზღვრა					
3.15	კონსულტაციები სხვაობები					
3.16	ბიზნესის გეგმა და პროგნოზი					
3.17	ადგილობრივი ბიზნესი და პოლიტიკური გარიგები					
3.18	ფინანსური, ტრანზიტის და მუდმივადი					
3.19	ფინანსური დიფინანსება					
3.20	საწარმოების მენეჯმენტი, მუდმივადი კომპანიების ან წარმომადგენლობის დიფინანსების ხელშეწყობა	გარიგებებისა და დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით	ვითის კოდები და პროექტული ქვეყნის სტანდარტები	მაღალი	მე-2, მე-3 და მე-4 კატეგორიის საწარმოები	ACCA
3.21	გარიგებების დაკავშირებული კონსულტაციები					
3.22	მუდმივადი საჯარო კომპანიის სტრუქტურის მოსაზრებულად					
3.23	ბიზნესების მომსახურება გასაყიდად					
3.24	მუდმივადი და მუდმივადი ინვესტიცია					
3.25	კაპიტალური ბაზრები და პირდაპირი განვითარება					
3.26	კონსულტაციები პირდაპირი საკითხების მიზნით					
3.27	კონსულტაციები ბიზნესის გადამწვერულებების მიზნით					
3.28	კონსულტაციები საფინანსო და საინვესტიციო საბაზო მომსახურებაზე					
3.29	კონსულტაციები საჯარო ადმინისტრაციაზე და საჯარო სექტორის ბიზნესზე					
3.30	უპირატესი კაპიტალთან დაკავშირებული მოლაპარაკებები					
3.31	ფინანსების მოხილვა					
3.32	ხელმძღვანელობის მიერ აქციების გამოყიდვები, დაბრუნება					
4 საოჯახო ბიზნესის მომსახურება						
4.1	სტრატეგიის ჩამოყალიბებაში დახმარება				სტრატეგია საჯარო	
4.2	ბიზნესის წრე					
4.3	ბიზნესის გადართობა					
4.4	ბიზნესის გარიგება					
4.5	საოჯახო ბიზნესის ფონდის მართვა					
4.6	კერძო ბიზნესის სამეთვალყურეო საბაზო დიფინანსება					
4.7	საქართველოს გადასახადი და გასვლის სტრატეგია					
4.8	სტრატეგია, მინდობილი პირის და რწმუნებულის მომსახურება					
4.9	სიდიდის მართვა					
5 ექსპერტული მომსახურება						
5.1	კონსულტაციები საკონსულტაციო დავების მართვაში					
5.2	პირდაპირი და ოჯახური დავების მართვა					
5.3	საბუღალტრო კორპორაციული თაღლითობის ექსპერტული გამოძიება					
5.4	მარკეტინგული მოცულობები					
5.5	საბუღალტრო პირდაპირი წარდგენა და ზარალის მართვა					
5.6	კონსულტაციები ექსპერტული და ანალიზი					
5.7	კონსულტაციები დავები					
5.8	ექსპერტული ზედამხედველობა					
5.9	ბიზნეს წარმომადგენლობის და საექსპერტული გარიგების გამოძიება					
5.10	თაღლითობის საწინააღმდეგო მომსახურება					
6 ადამიანური რესურსების მართვის მომსახურება						
6.1	კომპანიის კულტურა, ლიდერობა და ცვლილება					
6.2	მრავალფეროვნება და ჩართულობა					
6.3	დასაქმების კანონმდებლობა					
6.4	ადამიანური რესურსების ტრანსფორმაცია და ტენდენციები					
6.5	ინფორმაციული ღირებულება					
6.6	პერსონალის ანალიზი და განვითარება					
6.7	ექსპერტული კვალი					
6.8	მუდმივადი, დიფინანსება და წახალისება					
6.9	ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია					
6.10	გადამწვერულები და განვითარება					
6.11	დასაქმებულების წახალისების გეგმა					
6.12	პერსონალის დამოუკიდებელი, დიფინანსება და მრეხა					
6.13	ხელმძღვანელობის წახალისების სტრატეგია					

პროფესიული მომსახურების ჯგუფი/სახელობა		ჯგუფის მოკლე სახელწოდება	პროფესიული მომსახურების სტანდარტი, კანონმდებლობა ან სახელმძღვანელო	დამოუკიდებლობის რისკი აუდიტთან მიმართებით	პოტენციური ბაზრის სეგმენტი	შესაფერისი კვალიფიკაცია (აღვიწიებული ან საერთაშორისო ანალოგი)
7 საგადასახადო მომსახურება						
7.1	საგადასახადო მინაგაზაქები					
7.2	საგადასახადო დავების გადაწყვეტა					
7.3	საგადასახადო პოლიტიკა და ადმინისტრირება					
7.4	საგადასახადო ანგარიშგება და სტრატეგია					
7.5	სატრანსფერო ფასწარმოქმნა					
7.6	საგადასახადო შესაბამისობის ტრანსფორმაცია					
7.7	გადასახადებთან დაკავშირებული ბიზნეს პროცესების დახვეწა					
7.8	საგადასახადო მართვის კონსულტაციები					
7.9	მექონებისა და მუწრეშების გადასახადები					
7.10	საგადასახადო დადგენა					
7.11	საგადასახადო აღრიცხვა და რისკები					
7.12	საგადასახადო პოლიტიკა და დავები					
7.13	ცოფილი გადასახადები					
7.14	მიღების გადასახადის შესაბამისობა და დადგენა					
7.15	სამშრომელთა გადასახადის შესაბამისობა და დადგენა					
7.16	საგადასახადო ავტოკატორება და დავები					
7.17	უპატრონო ქონება					
7.18	საგადასახადო ოპტიმიზაცია საერთაშორისო ჯგუფებისთვის					
7.19	საგადასახადო დადგენა ინდ. მექანიზმებისთვის					
7.20	საოჯახო და პირადი საგადასახადო რჩევები					
7.21	არარეზიდენტთა საგადასახადო მომსახურება					
7.22	ვალუტებისა და განვითარების საგადასახადო კრედიტები					
7.23	კაპიტალის დირექტორების ანგარიშგება (ესტატი კაპიტალიზაცია?)					
7.24	შესაბამისობა და კონსულტაციები არაპირდაპირი გადასახადების, დღგს, საბაჟო გადასახადის მიმართებით					
7.25	ეროვნული და საერთაშორისო დამკვეთის ოპტიმიზაცია					
7.26	ავიაციის პირველადი განთავსების დახვეწა					
7.27	ეროვნული და საერთაშორისო ბიზნესის გადასახადების დადგენა (კორპორატიული და პიროვნული)					
7.28	წარმოადგენლობა საჯარო ორგანიზაციისა და სასამართლოების წინაშე					
7.29	საგადასახადო დოკ. დოკუმენტაცია					
7.30	კაპიტალური ანგარიშების გამოყენება					
7.31	ზარალის გამოქვითვის დადგენა					
7.32	კაპიტალის ზრდის გადასახადი					
7.33	არამატერიალური აქტივების ხარჯების გამოქვითვა					
7.34	საგადასახადო დეკლარაციების მომზადება და წარდგენა					
7.35	საგადასახადო სტრუქტურირება					
7.36	არამატერიალური გადასახადების შესაბამისობა ულტრამოდერნიზაციის ბიზნესებისთვის					
7.37	საგადასახადო ავანსების მომსახურება					
7.38	მეშვიდობის და ჩუქების გადასახადები					
7.39	კონსულტაციები ქონების გადასახადზე					
7.40	პირდაპირი გადასახადები, მათ შორის მოგებისა და სამშრომელთა					
7.41	ფისკალური კონსოლიდაცია					
7.42	საგადასახადო სიხალეები					
7.43	საბუღალტრო გადასახადო აუდიტის პროცესი და შედეგების განმარტება					
7.44	საგადასახადო დავები ყველა ადმინისტრაციულ დონეზე					
7.45	საგადასახადო გამოძიება					
7.46	უბიკუალური გადასახადების რეგისტრაცია და წარმომადგენლობა					
7.47	საგადასახადო მეთოდები					
8 ციფრული მომსახურება						
8.1	აპლიკაციების მუშაგება					
8.2	კომპიუტერული უსაფრთხოება					
8.3	დოკუმენტაციის და ტექნოლოგიური გადაწყვეტები					
8.4	დიდი მონაცემების ანალიზი					
8.5	აიტი აუთოსონისი					
8.6	ტექნოლოგიური სტრატეგიის მუშაგება					
8.7	მონაცემთა ანალიზი					
8.8	აპლიკაციებისა და კავშირებული მომსახურებები					
8.9	ციფრული ტრანსფორმაცია					
8.10	საწარმოო გადაწყვეტები					
8.11	ციფრული ოპერაციების აუთოსონი					
8.12	ქვემოთ მუშაგების ტესტირება					
8.13	კონსულტაციები აიტი სისტემების დონეზე					
8.14	აიტი სისტემების მონიტორინგი, კონსულტაციები და პროფესიული უზრუნველყოფის მუშაგება					
8.15	აიტი აუდიტის გადაწყვეტები					
9 რისკების მართვის მომსახურება						
9.1	სტრატეგიული და რეპუტაციული რისკი					
9.2	რეგულაციის და შესაბამისობის რისკი					
9.3	ფინანსური რისკი					
9.4	საოპერაციო რისკი					
9.5	რისკების მართვის სისტემების იმპლემენტაცია					
9.6	კონსულტაციები საწარმოო რისკების მართვაში					
9.7	სამუდამდევრო საბჭო და აუდიტის კომიტეტები					
9.8	ბიზნესის განმარტებითობა					
9.9	განსაკუთრებული მეთოდებიდან აღდგენა					
9.10	დამხმარების ფონდების მოწოდებით დაკავშირებული მომსახურება					
9.11	საწარმოო რისკები					
9.12	ტექნოლოგიური რისკები					
9.13	ანგარიშები სისტემური და ორგანიზაციული კონტროლზე					
9.14	მიღ აუდიტის მომსახურებები და მიღ კონტროლების მიმოხილვა					
9.15	კონსულტაციები რისკებზე					
9.16	რისკების მუდამდევრობა და ხელმძღვანელობის კონსულტაციები					
9.17	ფულის გათვრებისა და ტერორიზმის დაფინანსების დაცვის ხელშეწყობის მომსახურება					

10 ბუღალტრული და ფინანსური მომსახურება									
10.1 ფინანსური ანგარიშგების მომსახურება ფასს-თან შესაბამისად	ფასს მას ფასს სტანდარტი								
10.2 ფინანსური ანგარიშგების მომსახურება მას ფასს-თან შესაბამისად									
10.3 ფინანსური ანგარიშგების მომსახურება გამართებული სტანდარტის შესაბამისად									
10.4 მმართველობითი აღრიცხვა და ანგარიშგება									
10.5 სტატისტიკური ანგარიშგება მომსახურება	საბუღალტრო ფორმები		ფასს						
10.6 კონსოლიდირებული ანგარიშგების მომსახურება	ფასს								
10.7 შუალედური ანგარიშგების მომსახურება	ფასს								
10.8 გადახდების პროცესის წარმოება									
10.9 უცხოური საწარმოების წარმომადგენლობების აღმინისტრაციული მომსახურება			სახელმძღვანელოები	ყველა კატეგორიის საწარმო					
10.10 ფინანსური დირექტორის მომსახურება									
10.11 ფინანსური გეგმის მართვა/გეგმვა, კონსულტაციები და მითითებები									
10.12 საბუღალტრო სისტემების დანერგვა									
10.13 საბუღალტრო პოლიტიკის შემუშავება და იმპლემენტაცია			ფასს	მაღალი	სერტიფიცირებული ბუღალტერი				
10.14 საბუღალტრო პერსონალის ტრენინგი									
10.15 ავტომატიზირებული საბუღალტრო სისტემების შემუშავება და იმპლემენტაცია									
10.16 საწარმოს დაფუძნების და სამდგომო მომსახურება	საბუღალტრო მომსახურება გულისხმობს საწარმოების ფინანსური ინფორმაციის შეგროვებას, გროვებას, დამუშავებას და კომუნიკაციას მათ შორის ფინანსური აღრიცხვის, მმართველობითი აღრიცხვის, ხარჯთაღრიცხვის, საბუღალტრო საინფორმაციო სისტემების მომართვას.								
10.17 მმართველობითი ანგარიშგების სისტემების მიმოხილვა			სახელმძღვანელოები						
10.18 ბუღალტრული და საწარმოს აღმინისტრაციის მომსახურება									
10.19 ავტომატიზირებული									
10.20 საბუღალტრო სისტემების გაუმჯობესება და ოპტიმიზაცია									
10.21 ბიუჯეტირება, ფინანსების დაცემა და კონტროლი			ფასს						
10.22 ფულადი ნაკადების და მოგების პროგნოზირება									
10.23 ფინანსური კონტროლი									
10.24 ხარჯთაღრიცხვის მართვა									
10.25 ავტომატიზირებული ანგარიშგების სისტემის შემუშავება			ფასს						
10.26 იმპლემენტაცია და ახსნა									
10.27 კომპიუტერული ხელახლა									
10.28 ფასს-ზე გადახდა									
10.29 ბუღალტრული დანერგვების და ბიზნეს პროცესების ავტომატიზაცია			ფასს						
10.30 კონსულტირება ფინანსური აღრიცხვის საკითხებში									
10.31 ინტეგრირებული ანგარიშგება									
10.32 ოჯახის აღრიცხვა									
10.33 ფასს ანგარიშგების კომპიუტერული			ფასს 4410 სახელმძღვანელოები	EBRD Advice for Small Businesses – საკონსულტაციო მომსახურებების ფართო სპექტრი მცირე და საშუალო ბიზნესისთვის					
10.34 მფლობელების ანგარიშგება									
10.35 არაფინანსური ანგარიშგების კომპიუტერული									
10.36 მარველირებული ანგარიშგება									
10.37 გრანტების აღმინისტრირება და შესაბამისობა									
10.38 კონსულტირება ბუღალტრული აღმინისტრაციული საკითხებზე									
11 გადახდისუნარიანობის მომსახურება									
11.1 აქტივების დაფუძნება და დაბრუნება	როდესაც ფინანსური მდგომარეობაში მყოფი კომპანიების კონსულტირება	კანონი გადახდისუნარიანობის შესახებ	მაღალი	გადახდისუნარიანობის რისკის წინაშე მდგარი კომპანიები	გადახდისუნარიანობის სპეციალისტები, ძირითადად სერტიფიცირებული ბუღალტრები				
11.2 რეფინანსირება									
11.3 გადახდისუნარიანობის დაცემა									
11.4 პირადი ვალდებულებების დაფუძნება									
11.5 გადახდისუნარიანობის რესტრუქტურირება									
11.6 გადახდისუნარიანობის რესტრუქტურირება									
11.7 დავალიანების გრადუის შეფასება, ადვანსი და კონვერტაცია									
11.8 ბიზნესის რეაბილიტაცია და რესტრუქტურირება									
12 სამშენებლო მომსახურება									
12.1 ბიზნესის შეფასება	სამართლიანი დირექტორების განსაზღვრის რეგულაციები	IVSC IVSC IVSC ფასს 3 IVSC IVSC	მაღალი	ფასს ანგარიშგება გარიგებები გარიგებები ბიზნეს კომპიუტერული ფასს ანგარიშგება გადახდისუნარიანობა	არქიტექტურული მასშტაბირებული ორგანოს სერტიფიცირებული მშენებლები				
12.2 ურთიერთობის შეფასება									
12.3 ინვესტიციების შეფასება									
12.4 მშენებლის დირექტორების განაწილება									
12.5 სამშენებლო დირექტორების აქტივების შეფასება									
12.6 მომართვის ურთიერთობის შეფასება									
13 იურიდიული მომსახურება									
13.1 ურთიერთობის მართვა და შესაბამისობა	მომსახურება, რომელიც მოიცავს სამართლებრივ ან კანონთან დაკავშირებულ საკითხებს, როგორცაა იურიდიული დასაცემის გაცემა, სარჩელის შეტანა, სარჩელის შეტანა და დაცვა და ა.შ.	სამართლებრივი კანონმდებლობა	მაღალი	ყველა კატეგორიის საწარმო	დიპლომირებული იურისტები				
13.2 სამართლებრივი სამართალი									
13.3 საერთაშორისო ბიზნესის რეგულაციები									
13.4 საკანონმდებლო სიხვედრები									
13.5 კონსტიტუციური და კონსტიტუციური სამართალი									
13.6 საერთაშორისო ურთიერთობის სამართალი									
13.7 რჩევები პირდაპირი საერთაშორისო ურთიერთობის შესახებ									
13.8 ურთიერთობის და საერთაშორისო სახელმწიფოებრივი სამართალი									
13.9 კონსტიტუციური კანონი									
13.10 სამშენებლო საკითხების დაცვა									
13.11 საკანონმდებლო ექსპერტიზა									
13.12 მართვის, აღმინისტრირებული და სამშენებლო საბჭოს საკითხები									
13.13 რჩევები სამართლების ყიდვა-გაყიდვის, მართვის, ურთიერთობის საწარმოს თაობაზე									
13.14 შრომის სამართალი	მომსახურება, რომელიც მოიცავს სამართლებრივ ან კანონთან დაკავშირებულ საკითხებს, როგორცაა იურიდიული დასაცემის გაცემა, სარჩელის შეტანა, სარჩელის შეტანა და დაცვა და ა.შ.	სამართლებრივი კანონმდებლობა	მაღალი	ყველა კატეგორიის საწარმო	სერტიფიცირებული ბუღალტრები				
13.15 საოჯახო სამართალი									
13.16 ურთიერთობის და საერთაშორისო სამართალი									
13.17 გადახდისუნარიანობის კანონი									
13.18 სამშენებლო და ურთიერთობის სამართალი									
13.19 სისხლის სამართალი									
13.20 საშენებლო სამართალი									
13.21 სამშენებლო სამართალი და საწარმოების დაფუძნება									
13.22 კონსტიტუციური სამართალი									
13.23 სახელმწიფოებრივი სამართალი									
13.24 ურთიერთობის სამართალი									
13.25 რჩევები სამართლების ყიდვა-გაყიდვის შესახებ									
13.26 რჩევები დამფუძნებლის და სპინ-ოფების შესახებ									
13.27 კონსტიტუციური კანონი									
13.28 სამშენებლო საკითხების დაცვა									
13.29 გადახდისუნარიანობის სამართალი									
13.30 კანონის ბაზრის რეგულირება									
13.31 სამკვიდრო სამართალი									
13.32 საკონსულტაციო დასაცემა სასამართლო სტრუქტურისთვის									

გადახრების ანალიზი ნორმატიული დანახარჯების საფუძველზე

მოდული „მმართველობითი აღრიცხვა“

რეალურ ცხოვრებაში, კომპანიების წარმატებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კომპანიის ფაქტობრივი საქმიანობის ანალიზს, ზოგადად თუ ვიტყვით, ფაქტობრივი სიტუაციის (დანახარჯების, წარმოების მოცულობის, შესყიდვების, ფულადი ნაკადების, მოგების და ა.შ.) შედარებას დასახულ გეგმებთან/ბუჯეტებთან. კომპანიის საქმიანობის ანალიზი, როგორც წესი, მრავალ ქრილში ტარდება, მაგრამ ნამდვილად არასწორი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ კომპანიის საქმიანობის მრავალწახნაგოვანი ანალიზის ქვაკუთხედია კომპანიის დანახარჯების ანალიზი ნორმატივების, კერძოდ კი ნორმატიული დანახარჯების საფუძველზე, გადახრების გამოთვლა და გაუმჯობესების გზების დასახვა. ამიტომ სავსებით ნორმალურია, რომ მმართველობითი აღრიცხვის მოდულის სასწავლო პროგრამის ერთერთი მნიშვნელოვანი თემაც სწორედ გადახრების ანალიზია ნორმატიული დანახარჯების მიხედვით. შესაბამისად, ეს თემა გამოცდისთვის კარგად უნდა მოამზადოთ. გარდა ამისა, როგორც შესავლიდან მიხვდით, ნორმატიული დანახარჯების კალკულაციის მეთოდით გადახრების ანალიზი ერთერთი იმ ინსტრუმენტთაგანია, რომელსაც კარგად უნდა იყოს დაუფლებული პროფესიონალი ბუღალტერი თუ მენეჯერი, რომელიც დანახარჯების (და არა მარტო დანახარჯების) ცენტრის საქმიანობაზე არის პასუხისმგებელი. ამ სტატიაში განვიხილავთ გადახრების გამოთვლების მაგალითებს, რათა გარკვეული გაკვეთილები ვისწავლოთ და აღარ დაუშვათ ისეთივე შეცდომები, როგორსაც კანდიდატები ხშირად უშვებენ გამოცდაზე, ამ თემაზე დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემის დროს.

ტერმინი „ნორმატივი“ აღნიშნავს პროდუქტის ან მომსახურების ერთეულისთვის წინასწარ განსაზღვრული დანახარჯებისა და ამონაგების შეფასებულ სიდიდეს. „ნორმატიულ დანახარჯს“ ხშირად შემდეგნაირად განმარტავენ: „ნორმატიული დანახარჯი არის პროდუქტის ან მომსახურების ერთეულისთვის დაგეგმილი დანახარჯი, ან პროდუქტის ან მომსახურების ერთეულის ბიუჯეტი. ნორმატივები, უპირველეს ყოვლისა, გადახრების გამოსათვლელად გამოიყენება. გადახრები, თავის მხრივ, გამოიყენება დანახარჯებსა და ამონაგებზე კონტროლის განსახორციელებლად და კომპანიის საქმიანობის შედეგების გასაუმჯობესებლად. გადახრები გამოითვლება ფაქტობრივი დანახარჯებისა და ამონაგების შედარებით ნორმატიულ დანახარჯებთან და ამონაგებთან.

1-ლი მაგალითი.

სს „დერმოტი“ ხის საწოლების მწარმოებელი კომპანიაა. კომპანიაში გადახრების ანალიზის, მენეჯერებისა და ქვედანაყოფების საქმიანობის შედეგებზე მონიტორინგის განსახორციელებლად იყენებენ ნორმატიული დანახარჯების სისტემას დანახარჯთა სრული განაწილებით კალკულაციის მეთოდზე დაყრდნობით. ნორმატიული დანახარჯების აღრიცხვის ბარათი კომპანიის პროდუქციის ერთ-ერთი მოდელისთვის მოცემულია ქვემოთ:

	ფუნტი ერთეულზე	ფუნტი ერთეულზე
სარეალიზაციო ფასი		250.00
პირდაპირი მასალა:		
ხე: 12 მ @ მეტრის ფასი 1.50 ფუნტი	18.00	
ქსოვილი: 6 კვ.მ @@ კვ.მ-ის ფასი 2.00 ფუნტი	12.00	
პირდაპირი შრომა: 4საათი @ საათი – 6.00 ფუნტი	24.00	
ცვლადი ზედნადები ხარჯი: 4 საათი @@ 15.00 ფუნტი	60.00	
მუდმივი ზედნადები ხარჯები: 4 საათი @ 10.00 ფუნტი	40.00	
		154.00
მოგება		96.00

საბიუჯეტო წარმოებისა და რეალიზაციის მაჩვენებელი არის 1,000 სანოლი თვეში.

ქვემოთ მოცემულია აღნიშნული მოდელის სანოლის წარმოებისა და რეალიზაციის ბოლო თვის ფაქტობრივი დანახარჯები:

რეალიზაცია: 1,200 ერთეული @ 240 ფუნტი თითოეული

წარმოება: 1,300 ერთეული

ხის მასალა: 16,000 მ @ მეტრი – 1.40 ფუნტი

ქსოვილი: 7,800 კვ.მ @ კვ.მ – 2.10 ფუნტი

პირდაპირი შრომა: 5,000 საათი @ საათი – 7.00 ფუნტი

ცვლადი ზედნადები ხარჯები: 5,000 საათი @ საათი – 15.10 ფუნტი

მუდმივი ზედნადები ხარჯები: 54,600 ფუნტი.

კომპანიას ამ თვეში საწყისი მარაგი არ ჰქონდა.

ტერმინოლოგია

ამ სტატიაში ტერმინს „არახელსაყრელი გადახრა“ გამოვიყენებთ ისეთი სიტუაციის დასახასიათებლად, როდესაც ფაქტობრივი შედეგები ნორმატიულთან შედარებით გაუარესებულია და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოგებაზე (დანახარჯები მეტია ნორმატიულზე, ან ამონაგები ნაკლებია), ხოლო ტერმინს „ხელსაყრელი“ – დადებითი სიტუაციისთვის.

ცვლადი დანახარჯების გადახრა

როგორც წესი, პირდაპირი შრომითი დანახარჯების გადახრის გამოთვლა ყველაზე მარტივია. პირდაპირი შრომის ფაქტობრივი დანახარჯი იყო 35,000 ფუნტი (5,000 სთ × 7.00 ფუნტი). ეს დანახარჯი უნდა შეუდარდეს ნორმატიულ დანახარჯს. კანდიდატებს ყველაზე მეტად უჭირთ და შეცდომებს უშვებენ შემდეგი სახის შედარებებში:

ფაქტობრივი საათები × ფაქტობრივი შრომის ანაზღაურების განაკვეთი

= 5,000 სთ × 7.00 ფუნტი = 35,000 ფუნტი

> 11,000 ფუნტი – შრომითი დანახარჯების გადახრა (არახელსაყრელი).

საბიუჯეტო საათები × ნორმატიული განაკვეთი

= 1,000 ერთეული × 4 სთ × 6.00 ფუნტი = 24,000 ფუნტი

ეს არ არის საზრიანი შედარება. ფაქტობრივი დანახარჯები დაკავშირებულია 1,300 ერთეულის წარმოებასთან. საბიუჯეტო მონაცემები დაკავშირებულია 1,000 ერთეულის წარმოებასთან. მნიშვნელოვანია, რომ ერთმანეთს მსგავსი ციფრები შეუდარდეს. თუ შრომითი (სამუშაო ძალის) დანახარჯი ცვლადი დანახარჯია, მაშინ ჩვენ მოველით, რომ დამატებითი 300 ერთეულის საწარმოებლად საჭირო იქნება დამატებითი კაცსაათების დანახარჯი.

უფრო საზრიანი და სწორი გამოთვლა იქნება ფაქტობრივი შრომითი დანახარჯები შე-
უდარდეს კორექტირებული ბიუჯეტის შრომით დანახარჯს, რომელიც საჭიროა 1,300
ერთეულის საწარმოებლად. კერძოდ, შედარება შემდეგნაირად უნდა წარიმართოს:

$$\begin{aligned} & \text{ფაქტობრივი საათები} \times \text{ფაქტობრივი შრომის ანაზღაურების განაკვეთი} \\ &= 5,000 \text{ სთ} \times 7.00 \text{ ფუნტი} = 35,000 \text{ ფუნტი} \\ & > 3,800 \text{ ფუნტი} - \text{შრომითი დანახარჯების გადახრა} \\ & \quad (\text{არახელსაყრელი}). \end{aligned}$$

$$\begin{aligned} & \text{ფაქტობრივი წარმოებისთვის საჭირო ნორმატიული} \\ & \text{საათები} \times \text{შრომის ანაზღაურების ნორმატიული განაკვეთი} \\ &= 1,300 \text{ ერთეული} \times 4 \text{ სთ} \times 6.00 \text{ ფუნტი} = 31,200 \text{ ფუნტი} \end{aligned}$$

1-ლი გაკვეთილი:

**მნიშვნელოვანია, რომ ცვლადი დანახარჯების გადახრის გამოთვლისას, ციფრები თავდა-
პირველ საბიუჯეტო მონაცემებს კი არ ეყრდნობოდეს, არამედ კორექტირებულ საბიუჯეტო
მონაცემებს.**

მთლიანი შრომითი დანახარჯების არახელსაყრელ გადახრას, 3,800 ფუნტს, პოტენციურად
ორი მიზეზი იწვევს – კომპანიამ ხელფასები ნორმატიულისგან განსხვავებული საათობრი-
ვი შრომის ანაზღაურების განაკვეთით გადაიხადა, ან ნორმატიულისაგან განსხვავებული
საათები დაიხარჯა პროდუქციის ერთეულზე, ან ორივე ერთად. თუ ანალიზში მესამე
გამოთვლასაც ჩავრთავთ, შევძლებთ ამ ორი მიზეზის ერთმანეთისგან გამიჯვნას.

$$\begin{aligned} & \text{ფაქტობრივი საათები} \times \text{ფაქტობრივი შრომის ანაზღაურების განაკვეთი} \\ &= 5,000 \text{ სთ} \times 7.00 \text{ ფუნტი} = 35,000 \text{ ფუნტი} \\ & > 5,000 \text{ ფუნტი} - \text{შრომის ანაზღაურების} \\ & \quad \text{განაკვეთის გადახრა (არახელსაყრელი)}. \end{aligned}$$

$$\begin{aligned} & \text{ფაქტობრივი საათები} \times \text{ნორმატიული განაკვეთი} \\ &= 5,000 \text{ სთ} \times 6.00 \text{ ფუნტი} = 30,000 \text{ ფუნტი} \\ & > 1,200 \text{ ფუნტი} - \text{შრომის ნაყოფიერების} \\ & \quad \text{გადახრა (ხელსაყრელი)}. \end{aligned}$$

$$\begin{aligned} & \text{ფაქტობრივი წარმოებისთვის საჭირო ნორმატიული საათები} \times \text{ნორმატიული განაკვეთი} \\ &= 1,300 \text{ ერთეული} \times 4 \text{ სთ} \times 6.00 \text{ ფუნტი} = 31,200 \text{ ფუნტი}. \end{aligned}$$

როგორც გაირკვა, 3,800 ფუნტის ოდენობის მთლიანი არახელსაყრელი გადახრა ორი მიზე-
ზითაა განპირობებული. პირველი, შრომის ანაზღაურების განაკვეთის (ან ურო ზოგადად
– ღირებულების) გადახრით, რაც გამოიწვია საათში ნორმატიულთან შედარებით უფრო
მეტი ხელფასის გადახდამ. მეორე, შრომის ნაყოფიერების გადახრით, რაც გამოიწვია 1,300
ერთეულის გამოშვებამ 5,000 საათში და არა 5,200 საათში, რაც არის კორექტირებული
ბიუჯეტი (1,300 ერთეული $\times$ 4 სთ).

სხვა ცვლადი დანახარჯების გადახრები

ყველა სხვა ცვლადი დანახარჯის გადახრები (პირდაპირი მასალა და ცვლადი ზედნადები ხარჯები) ყველაზე უმარტივესად იმავე გზით გამოითვლება, როგორც პირდაპირი შრომის (დანახარჯების) გადახრები. ყველა სხვა ცვლადი დანახარჯის გადახრების გამოთვლის საერთო წესი შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ:

ფაქტობრივი გამოყენება × ფაქტობრივი განაკვეთი

$$= 5,000 \text{ სთ} \times 7.00 \text{ ფუნტი} =$$

> დანახარჯების გადახრაზე

ფაქტობრივი გამოყენება × ნორმატიული განაკვეთი

> ეფექტურობის (ნაყოფიერების, ათვისების) გადახრაზე.

ნორმატიული გამოყენება ფაქტობრივი წარმოებისთვის × ნორმატიული განაკვეთი.

შეგიძლიათ თქვენ თვითონ გამოიყენოთ ეს მიდგომა „დერმოტის“ სხვა ცვლადი დანახარჯების მიმართ. პასუხები მოცემულია სტატიის ბოლოს.

მე-2 გაკვეთილი:

თუ შეგიძლიათ რომელიმე ერთი ტიპის ცვლადი დანახარჯის გადახრის გამოთვლა, უნდა შეძლოთ ყველანაირი ცვლადი დანახარჯის გადახრის გამოთვლა.

მუდმივი ზედნადები ხარჯების გადახრები

კანდიდატების უმეტესობას არ უჭირს მუდმივი ზედნადები ხარჯების გადახრების გამოთვლა. ეს არის გამოსათვლელად მარტივი გადახრა, რადგან როდესაც მუდმივ დანახარჯს ვაანალიზებთ, ჩვენ არ გვჭირდება ბიუჯეტის კორექტირება მსგავსი მონაცემების საზოგადოებრივი შედარების განსახორციელებლად. „დერმოტის“ შემთხვევაში, მუდმივი ზედნადები ხარჯების ღირებულების გადახრის გამოთვლა შემდეგნაირად გაკეთდება:

ფაქტობრივი მუდმივი ზედნადები ხარჯების ღირებულება

$$54,600 \text{ ფუნტი}$$

> 14,600 ფუნტი მუდმივი ზედნადები ხარჯების გადახრა (არახელსაყრელი)


საბიუჯეტო მუდმივი ზედნადები ხარჯების ღირებულება

$$= 1,000 \text{ ერთეული} \times 4 \text{ სთ} \times 10.00 \text{ ფუნტი} = 40,000 \text{ ფუნტი}$$

ყველაზე მარტივად თუ ვიტყვით, „დერმოტმა“ დახარჯა 54,600 ფუნტი მუდმივ ზედნადებ ხარჯებზე, როდესაც ბიუჯეტით გათვალისწინებული დასაშვები თანხა იყო 40,000 ფუნტი, რამაც განაპირობა 14,600 ფუნტის ოდენობის არახელსაყრელი გადახრა.

ღირებულების გადახრის საპირისპიროდ, კანდიდატებს უფრო უჭირთ მუდმივი ზედნადები ხარჯების მოცულობის გადახრის გამოთვლა, ვიდრე სხვა გადახრების. მუდმივი ზედნადები ხარჯების მოცულობის გადახრის გამოთვლაში მთავარია გავარკვეოთ, ზედნადები ხარჯების შთანთქმის დანაკლისი იყო, თუ სიჭარბე. **1-ელ გრაფიკზე** ნაჩვენებია, როგორ წარმოიშობა გადახრები.


1-ლი გრაფიკი: მუდმივი ზედნადები ხარჯების მოცულობის გადახრა



დიაგნოსტიკური წრფე, რომელიც კოორდინატთა სათავიდან გამოდის, გვიჩვენებს ზედნადებ ხარჯებს, რომლის შთანთქმაც უნდა მოხდეს ბიუჯეტის თანახმად – 40 ფუნტი ერთეულზე. მუდმივი ზედნადები ხარჯების შთანთქმის ეს ნორმატიული განაკვეთი განკუთვნილი იყო საბიუჯეტო მუდმივი ზედნადები ხარჯების შთანთქმისთვის, წარმოების საბიუჯეტო დონეზე. მაშასადამე, თუ კომპანია მუშაობს საბიუჯეტო წარმოების დონის პირობებში და უშვებს 1,000 ერთეულს, მაშინ მოხდება 40,000 ფუნტის ოდენობის ზედნადები ხარჯების შთანთქმა (საბიუჯეტო თანხა). ჩვენს მაგალითში კომპანიამ, ფაქტობრივად, 1,300 ერთეული პროდუქტი გამოუშვა და, მაშასადამე, 52,000 ფუნტის ოდენობის შთანთქმული ზედნადები ხარჯები (1,300 × 40 ფუნტი ერთეულზე) იწვევს ზედნადები ხარჯების შთანთქმის სიჭარბეს, საბიუჯეტო დონესთან შედარებით. ფაქტობრივი მოგების გამოთვლისას შთანთქმული ზედნადები ხარჯების სიჭარბის თანხა აისახება მოგება/ზარალის ანგარიშის კრედიტის მხარეს და ეს თანხა იქნება ხელსაყრელი გადახრა.

მუდმივი ზედნადები ხარჯების მოცულობის გადახრა შეიძლება გაანალიზდეს ორი გამომწვევი ფაქტორის მიხედვით – ათვისება და ეფექტურობა. ამის გაკეთება შესაძლებელია მაშინ, როდესაც მუდმივი ზედნადები ხარჯების შთანთქმა ხდება კაცსაათების საფუძველზე. **მე-2 გრაფიკზე** ილუსტრირებულია სწორედ ამგვარი ანალიზი.

მე-2 გრაფიკი: მუდმივი ზედნადები ხარჯების მოცულობის გადახრის ორი გამომწვევი მიზეზი



ამ გრაფიკზე დიაგნოსტიკური წრფე, რომელიც კოორდინატთა სათავიდან გამოდის, გვიჩვენებს მუდმივ ზედნადებ ხარჯებს, რომელთა შთანთქმაც უნდა მოხდეს მუდმივი ზედნადები ხარჯების შთანთქმის ნორმატიული განაკვეთით – 10 ფუნტი ერთ კაცსათზე. თუ კომპანია იმუშავებს საბიუჯეტო 4,000 საათს (1,000 ერთეული $\times$ 4 სთ ერთეულზე), მაშინ განხორციელდება საბიუჯეტო ზედნადები ხარჯების ანუ 40,000 ფუნტის შთანთქმა. ამ შემთხვევაში, „დერმოტი“, ფაქტობრივად, 5,000 საათს მუშაობს, რაც იწვევს 10,000 ფუნტის ოდენობის შთანთქმის სიჭარბეს საბიუჯეტო დონესთან შედარებით. ეს დაკავშირებულია ათვისების ხელსაყრელ გადახრასთან, ვინაიდან კომპანიამ იმუშავა საბიუჯეტო სიმძლავრეზე მეტი და, შესაბამისად, დაფიქსირდა ზედნადები ხარჯების შთანთქმის სიჭარბე.

ფაქტობრივად წარმოებული 1,300 ერთეული წარმოადგენს 5,200 საათ ნორმატიულ სამუშაოს (1,300 ერთეული $\times$ 4 სთ ერთეულზე). ნორმატიული დანახარჯებით კალკულაციის სისტემაში მზა (პროდუქციის) ერთეულების შეფასება ხდება ნორმატიული დანახარჯით, რომელშიც შედის მუდმივი დანახარჯის ელემენტიც, რაც, ამ შემთხვევაში, 52,000 ფუნტი იქნება (1,300 ერთეული $\times$ 4 სთ $\times$ 10 ფუნტი ერთ საათზე). ეს დამატებით განაპირობებს 2,000 ფუნტის ოდენობის შთანთქმის სიჭარბეს. ამ შემთხვევაშიც, შთანთქმის სიჭარბე აისახება მოგების ანგარიშში კრედიტის მხარეს და, მამასადამე, აისახება როგორც ხელსაყრელი გადახრა. აღნიშნული გადახრა გამოწვეულია იმით, რომ 1,300 ერთეულის სანარმოებლად კომპანიამ დახარჯა ნორმატიულთან შედარებით უფრო ნაკლები შრომა (სამუშაო ძალა) და ეს ფაქტი აისახება, როგორც ეფექტიანობის გადახრა.

მუდმივი ზედნადები ხარჯების გადახრების გამოთვლა შევაჯამოთ შემდეგნაირად:

ფაქტობრივი ზედნადები ხარჯები = 54,600 ფუნტი

ღირებულება > 14,600 ფუნტი (არახელსაყრელი)

საბიუჯეტო ზედნადები ხარჯები =

1,000 ერთეული $\times$ 4სთ $\times$ 10.00 ფუნტი = 40,000 ფუნტი

ათვისება > 10,000 ფუნტი (ხელსაყრელი)

ფაქტობრივი საათები ”

ნორმატიული განაკვეთი ერთ სთ-ზე

5,000სთ $\times$ 10.00 ფუნტი= 50,000 ფუნტი

ეფექტურობა > 2,000 ფუნტი (ხელსაყრელი)

ფაქტობრივი წარმოებისთვის

საჭირო ნორმატიული ზედნადები

ხარჯები

1,300 ერთეული $\times$ 4სთ $\times$ 10.00 ფუნტი = 52,000 ფუნტი

მიაქციეთ ყურადღება: მუდმივი ზედნადები ხარჯების მოცულობის გადახრის მონაცემის მიღება შესაძლებელია ათვისებისა და ეფექტურობის გადახრების მონაცემების შეკრებით.

მე-3 გაკვეთილი:

მუდმივი ზედნადები ხარჯების მოცულობის გადახრა (და მისი შემადგენელი ელემენტების ათვისებისა და ეფექტურობის გადახრა) დაკავშირებულია ზედნადები ხარჯების შთანთქმის სიჭარბესთან ან დანაკლისთან, საბიუჯეტო დონეებთან შედარებით.

რეალიზაციის გადახრა

რეალიზაციის გადახრას ორი მიზეზი იწვევს – საბიუჯეტო რეალიზაციის მაჩვენებლის შეუსრულებლობა (მოცულობის გადახრა) და წარმოებული ერთეულების გაყიდვა საბიუჯეტო ფასისგან განსხვავებული ფასით (ფასის გადახრა).

რეალიზაციის მოცულობის გადახრა გამოითვლება საბიუჯეტო რეალიზებული ერთეულების შედარებით ფაქტობრივად რეალიზებულ ერთეულებთან და მიღებული სხვაობის გავრცელებით ნორმატიულ მოგების მარჯაზე. კანდიდატები ხშირად ამ საკითხში შეცდომას უშვებენ და ზემოაღნიშნული განსხვავების თანხას ავრცელებენ ერთეულის ნორმატიულ ფასზე. ეს არასწორია: მართალია, რეალიზაციის ერთეულების შემცირება რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების დანაკარგს გამოიწვევს, მაგრამ ამავე დროს გამოიწვევს დანახარჯების შემცირებასაც. ჩვენ უნდა განვიხილოთ ამ ორი ციფრის სხვაობა და, მაშასადამე, რეალიზაციის მოცულობის გადახრა უნდა შეფასდეს მოგების ნორმატიული მარჯით, როგორც ქვემოთაა ნაჩვენები.

საბიუჯეტო რეალიზებული ერთეულები @ =

მოგების ნორმატიული მარჯა

1,000 ერთეული × 96.00 ფუნტი

96,000 ფუნტი

> 19,200 ფუნტი (ხელსაყრელი)

ფაქტობრივი რეალიზებული ერთეულები @ =

მოგების ნორმატიული მარჯა

1,200 ერთეული × 96.00 ფუნტი

115,200 ფუნტი

მე-4 გაკვეთილი:

რეალიზაციის მოცულობის გადახრის გამოთვლა უნდა ეყრდნობოდეს მოგების ნორმატიულ მარჯას და არა ნორმატიულ ფასს.

სარეალიზაციო ფასის გადახრა საშუალებას იძლევა, შევაფასოთ, რა შედეგი მოჰყვება რეალიზაციას, რომელიც არ განხორციელდა ნორმატიული ფასით. იგი გამოითვლება ფაქტობრივი და ნორმატიული სარეალიზაციო ფასების შედარებით და მიღებული სხვაობის გავრცელებით ნორმატიულ ფასზე:

ფაქტობრივი რეალიზაცია @ = ფაქტობრივი ფასი

1,200 ერთეული × 240 ფუნტი

288,000 ფუნტი

> 12,000 ფუნტი (არახელსაყრელი)

ფაქტობრივი რეალიზაცია @ = ნორმატიული ფასი

1,200 ერთეული × 250 ფუნტი

300,000 ფუნტი

მასალის მარაგი

ისეთ სიტუაციაში, როდესაც მასალის შესყიდვის დონე განსხვავდება მასალის მოხმარების დონისგან, შეიძლება შეიცვალოს მასალის ფასის გადახრის გამოსათვლელი ბაზა. თუ მასალის მარაგის შეფასება ნორმატიული დანახარჯით ხდება, მაშინ მასალის ფასის გადახრა დაეყრდნობა შესყიდული მასალის მონაცემს. თუ, როგორც „დერმოტის“ შემთხვევაში ხდება, შესყიდული ხის მასალა იყო 18,000 მეტრი და ფაქტობრივი გამოყენება – 16,000, მაშინ მარაგი იქნებოდა 2,000 მეტრი. გადახრა გამოითვლება შემდეგნაირად:

ფაქტობრივი შესყიდვა ფაქტობრივი ფასით

$$18,000 \text{ მ} \times 1.40 \text{ ფუნტი} = 25,200 \text{ ფუნტი}$$

ფასი > 1,800 ფუნტი (ხელსაყრელი)

ფაქტობრივი შესყიდვა ნორმატიული ფასით

$$18,000 \text{ მ} \times 1.50 \text{ ფუნტი} = 27,000 \text{ ფუნტი}$$

ფაქტობრივი გამოყენება ნორმატიული ფასით

$$16,000 \text{ მ} \times 1.50 \text{ ფუნტი} = 24,000 \text{ ფუნტი}$$

გამოყენება > 600 ფუნტი (არახელსაყრელი)

ნორმატიული გამოყენება ნორმატიული დანახარჯების პირობებში

$$1,300 \text{ ერთეული} \times 12 \text{ მ} \times 1.50 \text{ ფუნტი} = 23,400 \text{ ფუნტი}$$

მე-5 გაკვეთილი:

როდესაც მასალის შესყიდვა განსხვავდება მისი მოხმარებისგან და მარაგის შეფასება ნორმატიული დანახარჯით ხდება, მასალის ფასის გადახრის გამოთვლა უნდა დაეყრდნოს ნაყიდი მასალის ერთეულებს.

მოცდენილი (გამოყენებელი) სამუშაო დროის გადახრა

ზოგჯერ მუშების მიერ ნამუშევარი საათების რაოდენობა განსხვავდება მათთვის ანაზღაურებული საათების რაოდენობისაგან. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს მარაგის დეფიციტით, მანქანა-დანადგარების გაფუჭებით, ან რაიმე სხვა მიზეზით სანარმოს მუშაობის შეფერხებით. ასეთ შემთხვევაში, შრომის ნაყოფიერების გადახრის გამოთვლა უნდა დაეყრდნოს ნამუშევარ საათებს და არა ანაზღაურებულს. დავუშვათ, „დერმოტის“ შემთხვევაში კომპანიამ ხელფასი გასცა 5,000 საათზე, როდესაც ნამუშევარი იყო მხოლოდ 4,800 სთ. დარჩენილი საათების რაოდენობა იყო მოცდენილი დრო, რომელიც გამოიწვია დაზგის გაფუჭებამ. მაშინ შრომითი დანახარჯების გადახრა იქნება:

ფაქტობრივი საათები, ანაზღაურებული ფაქტობრივი განაკვეთით

$$5,000 \text{ სთ} \times 7.00 \text{ ფუნტი} = 35,000 \text{ ფუნტი}$$

> 5,000 ფუნტი – შრომის ანაზღაურების განაკვეთის გადახრა (არახელსაყრელი)

ფაქტობრივი საათები, ანაზღაურებული ნორმატიული განაკვეთით

$$5,000 \text{ სთ} \times 6.00 \text{ ფუნტი} = 30,000 \text{ ფუნტი} \\ > 1,200 \text{ ფუნტი} - \text{მოცდენილი დროის გადახრა} \\ (\text{არახელსაყრელი})$$

ფაქტობრივი ნამუშევარი საათები, ანაზღაურებული ნორმატიული განაკვეთით

$$4,800 \text{ სთ} \times 6.00 \text{ ფუნტი} = 28,800 \text{ ფუნტი} \\ > 2,400 \text{ ფუნტი} - \text{შრომის ნაყოფიერების გადახრა} \\ (\text{ხელსაყრელი})$$

ფაქტობრივი წარმოებისთვის საჭირო ნორმატიული საათები ნორმატიული ანაზღაურების განაკვეთით = $1,300 \text{ ერთეული} \times 4 \text{ სთ} \times 6.00 \text{ ფუნტი} = 31,200 \text{ ფუნტი}$.

როდესაც შრომის ნაყოფიერების გადახრის გამოთვლა ნამუშევარ საათებს ეყრდნობა, ამით მალღდება დანახარჯების აღრიცხვის პასუხისმგებლობა. წარმოების მენეჯერი გააკონტროლებს ნამუშევარ კაცსაათების რაოდენობას, თუმცა ნაკლებად სარწმუნოა, რომ შეძლოს იმ საათებზე კონტროლის განხორციელება, რომლებიც დაიკარგა მანქანა-დანადგარის გაფუჭებით. მოცდენილი დროის გადახრა, როგორც წესი, არაკონტროლირებად მაჩვენებლად მიიჩნევა. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ კაცსაათებზე დაფუძნებული სხვა გადახრების გამოთვლა (მაგ., ცვლადი და მუდმივი ზედნადები ხარჯები) ასევე ნამუშევარ კაცსაათებს უნდა დაეყრდნოს. ამ გამოთვლების ლოგიკური ახსნა იმაში მდგომარეობს, რომ ზედნადები ხარჯები მაშინ წარმოიშობა, როდესაც სამუშაო ძალა მუშაობს და არა მაშინ, როდესაც მოცდენილია.

მე-6 გაკვეთილი:

შრომის ნაყოფიერების გადახრა (და ზედნადები ხარჯების გადახრები, სადაც ეს შესაფერისია) უნდა დაეყრდნოს ნამუშევარ კაცსაათებს და არა იმ საათების რაოდენობას, რომლისთვისაც კომპანიამ ფული გადაიხადა.

კალკულაცია ნორმატიული ზღვრული დანახარჯებით

აქამდე ჩატარებული ანალიზი ეყრდნობოდა დანახარჯთა სრული (განაწილებით) კალკულაციის სისტემას. ზღვრული დანახარჯებით კალკულაციის სისტემაში ზოგიერთი გამოთვლა სხვანაირად ტარდება. მე-2 მაგალითში მოცემულია „დერმოტის“ ნორმატიული დანახარჯების აღრიცხვის ბარათი.

მე-2 მაგალითი

	ფუნტი ერთეულზე	ფუნტი ერთეულზე
სარეალიზაციო ფასი		250.00
პირდაპირი მასალა:		
ხე 12 მეტრი @ მეტრის ფასი 1,50 ფუნტი	18.00	
ქსოვილი 6 კვ.მ @ კვ.მ-ის ფასი 2.00 ფუნტი	12.00	
პირდაპირი შრომა: 4სთ @ 6.00 – ერთი საათი	24.00	
ცვლადი ზედნადები ხარჯები: 4სთ @ 15.00 ფუნტი	60.00	
		114.00
ზღვრული მოგება		136.00

გამოთვლების პირველი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ მუდმივი ზედნადები ხარჯების გადახრის გამოთვლა გამართივებულია. ვინაიდან არ ხდება მუდმივი ზედნადები ხარჯების შთანთქმა წარმოებაში, არ იარსებებს ზედნადები ხარჯების შთანთქმის სიჭარბე ან დანაკლისი. მაშასადამე, გამოსათვლელია მხოლოდ მუდმივი ზედნადები ხარჯების ღირებულების გადახრა, რაც ზუსტად ისევე გამოითვლება, როგორც დანახარჯთა სრული (განაწილებით) კალკულაციის სისტემაში.

მე-7 გაკვეთილი:

ზღვრული დანახარჯებით კალკულაციის სისტემაში, მუდმივი ზედნადები ხარჯების მოცულობის (და მისი შემადგენელი ელემენტების ათვისებისა და ეფექტურობის) გადახრის გამოთვლა საჭირო არ არის.

მეორე განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ახლა რეალიზაციის მოცულობის გადახრა ეყრდნობა ერთეულის ზღვრულ მოგებას და არა ერთეულის მოგებას. გამოთვლები შემდეგნაირად ჩატარდება:

საბიუჯეტო რეალიზებული ერთეულები

@ ნორმატიული ზღვრული მოგება

$$1,000 \text{ ერთეული} \times 136 \text{ ფუნტი} = 136,000 \text{ ფუნტი} \\ > 27,200 \text{ ფუნტი რეალიზაციის მოცულობის გადახრა (ხელსაყრელი)}$$

ფაქტობრივი რეალიზებული ერთეულები

@ ნორმატიული ზღვრული მოგება

$$1,200 \text{ ერთეული} \times 136 \text{ ფუნტი} = 163,200 \text{ ფუნტი}$$

მე-8 გაკვეთილი:

ზღვრული დანახარჯებით კალკულაციის სისტემაში რეალიზაციის მოცულობის გადახრა ერთეულის მოგებას კი არ ეყრდნობა, არამედ ერთეულის ზღვრულ მოგებას.

დასკვნა

ზოგჯერ ნორმატიული დანახარჯების გადახრების გამოთვლა რთული ჩანს, მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, პრაქტიკულად ძალიან მარტივად გამოსათვლელია. გაითვალისწინეთ სტატიაში მოცემული რჩევები და შეცდომები, რომლებსაც კანდიდატები ხშირად უშვებენ ხოლმე. მაშინ, თქვენ აღარ გაიმეორებთ იმავე შეცდომებს და მაღალ ქულებს მოაგროვებთ გამოცდაზე.

პასუხები:

ხის მასალა

ფაქტობრივი გამოყენება ფაქტობრივი დანახარჯების პირობებში

$$16,000 \text{ მ} \times 1.40 \text{ ფუნტი} = 22,400 \text{ ფუნტი} \\ \text{ფასი} > 1,600 \text{ ფუნტი (ხელსაყრელი)}$$

ფაქტობრივი გამოყენება ნორმატიული
დანახარჯების პირობებში

$$16,000 \text{ მ} \times 1.50 \text{ ფუნტი} =$$

$$24,000 \text{ ფუნტი}$$

გამოყენება > 600 ფუნტი (არახელსაყრელი)

ნორმატიული გამოყენება ნორმატიული
დანახარჯების პირობებში

$$1,300 \text{ ერთეული} \times 12 \text{ მ} \times 1.50 \text{ ფუნტი} = 23,400 \text{ ფუნტი}$$

ქსოვილი

ფაქტობრივი გამოყენება ფაქტობრივი
დანახარჯების პირობებში

$$7,800 \text{ კვ.მ} \times 2.10 \text{ ფუნტი} =$$

$$16,380 \text{ ფუნტი}$$

ფასი > 780 ფუნტი (არახელსაყრელი)

ფაქტობრივი გამოყენება ნორმატიული
დანახარჯების პირობებში

$$7,800 \text{ კვ.მ} \times 2.00 \text{ ფუნტი} =$$

$$15,600 \text{ ფუნტი}$$

გამოყენება > 0 ფუნტი

ნორმატიული გამოყენება ნორმატიული
დანახარჯების პირობებში

$$1,300 \text{ ერთეული} \times 6 \text{ კვ.მ} \times 2.00 \text{ ფუნტი} = 15,600 \text{ ფუნტი}$$

ცვლადი ზედნადები ხარჯები

ფაქტობრივი საათები, ფაქტობრივი
განაკვეთით

$$5,000 \text{ სთ} \times 15.10 \text{ ფუნტი} =$$

$$75,500 \text{ ფუნტი}$$

ღირებულება > 5,000 ფუნტი (არახელსაყრელი
გადახრა)

ფაქტობრივი საათები, ნორმატიული
განაკვეთით

$$5,000 \text{ სთ} \times 15.00 \text{ ფუნტი} =$$

$$75,000 \text{ ფუნტი}$$

ათვისება > 3,000 ფუნტი (ხელსაყრელი)

ნორმატიული საათები, ნორმატიული
განაკვეთით

$$1,300 \text{ სთ} \times 4 \text{ სთ} \times 15.00 \text{ ფუნტი} = 78,000 \text{ ფუნტი}$$

ბოლდრიჯის საქმიანობის შედეგების სრულყოფილების მოდელი

მოდული „სტრატეგიული ბიზნესლიდერი“

როგორ შემოწმდება ბოლდრიჯის საქმიანობის შედეგების სრულყოფილების მოდელის ცოდნა სტრატეგიული ბიზნესლიდერის მოდელის გამოცდაზე?

შესავალი

1. სტრატეგიული ბიზნესლიდერის მოდელის სასწავლო პროგრამაში მსოფლიო დონის ორგანიზაციებისთვის განკუთვნილი ბოლდრიჯის მოდელი გამოიყენება, როგორც ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობით ბიზნესლიდერებს ორგანიზაციების გაანალიზება შეუძლიათ ჰოლისტიკური პერსპექტივიდან. მოდელი მოიცავს ორგანიზაციის საქმიანობის შედეგების მართვის შვიდი უმნიშვნელოვანესი ასპექტის განხილვას, რომლის მიზანია ორგანიზაციისთვის ღირებულების შექმნა და გაზრდა, ასევე კონკურენტუნარიანობის გაზრდა.
2. რატომ არის ბოლდრიჯის მოდელი ასე უმნიშვნელოვანი სტრატეგიული ბიზნესლიდერის მოდელის სასწავლო პროგრამისთვის?


სტრატეგიული ბიზნესლიდერის მოდელის გამოცდა სტრატეგიული ლიდერობის შესახებ გამოცდაა, ხოლო ბოლდრიჯის მოდელი იდეალური საშუალებაა იმისთვის, რომ იფიქროთ კონკრეტული ორგანიზაციის საქმიანობის შედეგების მართვაზე, ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობაზე და ორგანიზაციისთვის ღირებულების შექმნაზე და თქვენი მოსაზრებები წარმოადგინოთ. სტრატეგიული ბიზნესლიდერის მოდელის სასწავლო პროგრამა მოიცავს რამდენიმე ძირითად განყოფილებას და შესაბამის შედეგებს სასწავლო პროგრამის ფარგლებში, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ბოლდრიჯის მოდელში გათვალისწინებულ წარმატებისა და სრულყოფილების ფაქტორებთან.

ბოლდრიჯის მოდელი ნაჩვენებია 1-ელ სქემაზე:

როგორც 1-ელი სქემიდან ჩანს, უმთავრესად არსებობს შვიდი უმნიშვნელოვანესი ასპექტი, რომელთა განხილვა/გათვალისწინება შესაძლებელია საქმიანობის შედეგების სრულყოფილებისა და კონკურენტუნარიანობის მართვისას. მოდელის ზედა ნაწილში განთავსებულია კონტექსტი, რომელშიც ორგანიზაცია იმყოფება (ორგანიზაციული პროფილი). კონტექსტის განსაზღვრა შესაძლებელია სხვადასხვა სტრატეგიული მოდელის გამოყენებით, როგორიცაა SWOT ან PESTEL, რომლებიც მოიცავს თავად ორგანიზაციის, მისი გარემოს და მიმდინარე სტრატეგიული პოზიციის შესწავლას/გამოკვლევას.

ბოლდრიჯის მოდელში იგულისხმება, რომ სტრატეგიული ბიზნესლიდერების ყურადღება ერთობლივად უნდა იყოს კონცენტრირებული ზემოაღნიშნულ ასპექტებზე, რათა უზრუნველყონ კომპანიის საქმიანობის ეფექტიანი მართვა და მიაღწიონ სრულყოფილებას, აამაღლონ კონკურენტუნარიანობა მთელი თავისი ორგანიზაციის მასშტაბით.

ბოლდრიზის საქმიანობის შედეგების სრულყოფილების მოდელი



3. როგორ ვმართოთ ორგანიზაციის საქმიანობის შედეგების სრულყოფილება ბოლდრიზის მოდელის გამოყენებით

თუ უფრო ყურადღებით დავაკვირდებით 1-ელ სქემაზე წარმოდგენილ მოდელს, ანუ მის ელემენტებს, ვნახავთ, რომ მოდელი იწყება ლიდერობით, რადგან სწორედ ქმედითი ლიდერობა არის საქმიანობის შედეგებისა და კონკურენტუნარიანობის სრულყოფილების ქვაკუთხედი. მიუხედავად იმისა, რომ მოდელში ამის შესახებ კონკრეტულად არაფერია ნათქვამი, ძლიერი და ეფექტური ლიდერობა განმტკიცებული უნდა იყოს ჯანსაღი, ძლიერი, საიმედო მართვით. თუ შევხედავთ მოდელის ორგანიზაციული პროფილის განყოფილებას, ვნახავთ, რომ ლიდერებმა, პირველ რიგში, უნდა შეისწავლონ თავიანთი ორგანიზაციის ბიზნესგარემო, ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეები და მიმდინარე პერიოდის სტრატეგიული პოზიცია, რათა განსაზღვრონ და შეარჩიონ ალტერნატიული სტრატეგიული ვარიანტები. სტრატეგიული ვარიანტების სათანადოდ შეფასებისთვის, ბიზნესლიდერებმა უნდა განიხილონ და გაითვალისწინონ რისკფაქტორები, მაგრამ, ამავე დროს, ნათლად უნდა გააცნობიერონ, გაიაზრონ და მთელი აქცენტი გადაიტანონ მომხმარებლებთან მყარი და პროდუქტიული ურთიერთობების დამყარებაზე, რადგან ღირებულების უშუალო წყარო და შემქმნელები სწორედ მომხმარებლები არიან.

ნებისმიერი სტრატეგიის წარმატებით განხორციელებისთვის, რომელიც შეიძლება ორგანიზაციულ ცვლილებებსაც მოიცავდეს (ზოგიერთი მათგანი კი პოტენციურად დამლუპველიც შეიძლება იყოს), ბიზნესლიდერებმა, პირველ რიგში, კონცენტრაცია უნდა მოახდინონ თავის მომხმარებლებზე, მაგრამ ასევე სამუშაო ძალაზეც და ამ სამუშაო ძალის მიერ შესრულებული ოპერაციების (და პროცესების) ეფექტიან მართვაზე, რათა უზრუნველყონ სტრატეგიის წარმატებით რეალიზება და სასურველი შედეგების მიღწევა.

როგორც მოდელის მარჯვენა მხარეს არის ნაჩვენები, კორპორაციული სტრატეგიის განხორციელებით მიღებულ შედეგებზე აუცილებლად უნდა ტარდებოდეს მონიტორინგი და შედეგები უნდა შეფასდეს ანალიზის, მონაცემებისა და ცოდნის

მართვის გამოყენებით (მე-4 გრაფა), რათა ორგანიზაციამ უზრუნველყოს, რომ მიაღწია საქმიანობის შედეგების სრულყოფილებას და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. თუ გამოჩნდება, რომ შედეგები დამაკმაყოფილებელი არ არის ან კონკურენტუნარიანობა სუსტია, არ გაუმჯობესებულა, მაშინ ამის შემდეგ ორგანიზაციამ უნდა გაარკვიოს, თუ რატომ მოხდა ასე და შეისწავლოს მოდელის ძირითადი ელემენტები, რათა სცადოს და გამოახოს გზები ორგანიზაციის შედეგებისა და კონკურენტუნარიანობის გასაუმჯობესებლად.

4. როგორ შემოწმდება სტრატეგიული ბიზნესლიდერის მოდელის გამოცდაზე ბოლდრიჯის მოდელის ცოდნა

როგორც უკვე განვმარტეთ, ბოლდრიჯის მოდელი არის ყოვლისმომცველი და ჰოლისტიკური მიდგომა ორგანიზაციების საქმიანობის შედეგების გამოშვებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის. სტრატეგიული ბიზნესლიდერის მოდელის საგამოცდო კითხვა შეიძლება ფოკუსირებული იყოს იმაზე, თუ როგორ შეიძლება მოდელის გამოყენება ორგანიზაციის საქმიანობის შედეგების მონიტორინგისა და შეფასებისთვის, მაგრამ ასევე შეიძლება მოიცავდეს მოდელის გამოყენებას ორგანიზაციის პრობლემების გამოსავლენად და იმ სიტუაციის გასაუმჯობესებლად, რომელშიც ორგანიზაცია აღმოჩნდა.

ახლა განვიხილავთ მაგალითს იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ შეიძლება მოიცავდეს სტრატეგიული ბიზნესლიდერის მოდელის საგამოცდო კითხვის მოთხოვნა ბოლდრიჯის მოდელს:

ა) ამონარიდი

1-ელი ამონარიდი: ABC კომპანია, სცენარი/ზოგადი ინფორმაცია - ABC კომპანია - პროდუქცია და გეოგრაფიული სტრუქტურა

ABC კომპანია აწარმოებს მედიკამენტებსა და ვაქცინებს ორი ქარხნის მეშვეობით, რომლებიც დაფუძნებულია ორ სხვადასხვა ქვეყანაში, კერძოდ, Y და Z ქვეყანაში. მან შექმნა ვაქცინა ახალი ვირუსის წინააღმდეგ ადამიანების იმუნიზაციისთვის. კომპანია ვაქცინას ისეთ ფასად ჰყიდის, რაც მას ძალიან მცირე საერთო მარჟას აძლევს და აქვს წინასწარი შეკვეთები ორი მთავრობის, რომლებთანაც მან გააფორმა ოფიციალური ხელშეკრულებები ვაქცინის გარკვეული რაოდენობის მიწოდებაზე სხვადასხვა დროს და ფიქსირებული ფასებით. Y ქვეყნის მთავრობამ თავისი შეკვეთა ჯერ შედარებით ადრე მისაწოდებელი პარტიისთვის გააფორმა, მაგრამ ამის შემდეგ Z ქვეყანამ უფრო მსხვილი შეკვეთა გააფორმა, რომელიც შედარებით გვიან იყოს მისაწოდებელი. კომპანია Z ქვეყანას დაჰპირდა, რომ ხელშეკრულებას ვადაში შეასრულებდა. Y ქვეყნის მთავრობამ ვაქცინის უმეტესი ნაწილი მიიღო Y ქვეყანაში მდებარე ქარხნიდან, მაგრამ ვაქცინას დამატებით იღებდა ასევე უფრო დიდი ქარხნიდანაც, რომელიც Z ქვეყანაში მდებარეობდა.

ხელშეკრულებასთან, წარმოებასა და ოპერაციებთან დაკავშირებული პრობლემები

მასობრივი წარმოების დაწყების შემდეგ ABC კომპანიას დაეწყო პრობლემები მთავარ ქარხანაში, Z ქვეყანაში, შუშის ფლაკონების მიწოდებასთან დაკავშირებით, რომლებშიც ვაქცინა ნაწილდება წარმოების დროს;

ტექნიკური პრობლემები შეექმნა საწარმოო პროცესსაც. გარდა ამისა, ქარხანა განიცდიდა სამუშაო ძალის უკმარისობას, იმ ვირუსით დაავადებით გამოწვეული გაცდენების გამო, რომლის თავიდან ასაცილებლადაც გამიზნული იყო ეს ვაქცინა. შედეგად, ABC კომპანიამ ვერ შეასრულა Z ქვეყნის მთავრობის უფრო მსხვილი შეკვეთა მხოლოდ ამ ქარხნიდან.

მომხმარებელთა მხრიდან მოსალოდნელი შესაძლოა სასამართლო სარჩელები

კომპანიას ამჟამად ემუქრება სასამართლო სარჩელი Z ქვეყნის მთავრობისგან, მისი შეკვეთის შეუსრულებლობის გამო. ABC კომპანია ამტკიცებდა, რომ Z ქვეყნისთვის ვაქცინის მიწოდებას ვერ შეძლებს Z ქვეყნის ქარხანაში არსებული პრობლემების გამო, ასევე იმის გამოც, რომ Y ქვეყანაში მდებარე ქარხანა კვლავ წინა შეკვეთების დარჩენილ რაოდენობას ასრულებდა Y ქვეყნის მთავრობისთვის.

ფინანსური შედეგები

ABC კომპანიას ახლა ექმნება პირობითი ვალდებულება, Z ქვეყნის მთავრობას აუნაზღაუროს მნიშვნელოვანი ზარალი. გარდა ამისა, კარგავს ფულს, რადგან დაგეგმილი მოცულობები ვერ არც ერთ ქარხანაში მიღწეული არ არის, რათა სრულად დაეფარა ვაქცინის შექმნისა და სხვა ფიქსირებული დანახარჯები.

ბ) მოთხოვნა

თქვენ ხართ ბიზნესის სფეროში პრაქტიკული გამოცდილების მქონე კონსულტანტი მენეჯმენტის საკითხების და ABC კომპანიის დირექტორთა საბჭომ დაგიკვეთათ კომპანიის ახლანდელი მდგომარეობის შესახებ რჩევებისა და რეკომენდაციების მიცემა.

მომზადეთ ABC კომპანიის დირექტორთა საბჭოსთვის ანგარიში, სადაც გააანალიზებთ ABC კომპანიის ახლანდელ მდგომარეობას და დირექტორთა საბჭოს შესთავაზებთ რეკომენდაციას იმ მიდგომების შესახებ, რომლის გამოყენებაც კომპანიას შეუძლია კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად და საუკეთესო შედეგების მისაღწევად.

შენიშვნა: გამომცდელი ამ კითხვაში კონკრეტულად არ მიგითითებთ, რომელი მოდელი უნდა გამოიყენოთ, მაგრამ მოთხოვნის ფორმულირებიდან ნათელია, რომ კანდიდატმა ბოლდრიჩის მოდელი უნდა გამოიყენოს. თუმცა, რეალურ გამოცდაზე მისაღები იქნება ასევე ალტერნატიული მოდელების გამოყენებაც, ან შეგიძლიათ საერთოდ არ გამოიყენოთ კონკრეტული მოდელი ამ მოთხოვნაზე პასუხის გასაცემად, თუკი კითხვის მოთხოვნას სათანადოდ უპასუხებთ.

გ) ჩვენ მიერ შემოთავაზებული მიდგომა ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად:

ამ ტექნიკურ მოთხოვნაზე პასუხის გაცემის მიდგომა იქნება ბოლდრიჯის მოდელის ელემენტების გამოყენება ანგარიშში სათაურების სახით, დაწყებული ორგანიზაციული პროფილიდან.

სახელწოდება: ანგარიში ABC კომპანიის არსებული მდგომარეობის შესახებ და მოქმედების რეკომენდაციები

ვის: დირექტორთა საბჭოს

ვისგან: ა. კონსულტანტი

i) შესავალი

არსებული მდგომარეობა, რომელშიც ABC კომპანია იმყოფება, კრიტიკულია მრავალი თვალსაზრისით:

- პოტენციური სამართლებრივი პასუხისმგებლობა;
- უკმაყოფილო მნიშვნელოვანი მომხმარებლები;
- დაბალი მარჟები და მომგებიანობის პრობლემები;
- მიწოდების პრობლემები;
- წარმოებასთან დაკავშირებული საოპერაციო/პროცესებთან პრობლემები;
- კადრების დეფიციტი.

ჩემი ანგარიშის მე-2 ნაწილში გავანალიზებ არსებულ ვითარებას და თქვენი კომპანიის საქმიანობის ძირითად სფეროებს, რომლებიც უნდა განიხილოთ. გარდა ამისა, თითოეული სათაურის ქვეშ ჩავრთავ ჩემს რეკომენდაციებსაც.

გადასაწყვეტი საკითხები:

ii) ორგანიზაციული პროფილი

ABC კომპანია რამდენიმე სტრატეგიული და საოპერაციო პრობლემის წინაშე დგას. წინასწარ გაფორმებული ხელშეკრულებების ფასები ძალიან დაბალია, რაც იმას ნიშნავს, რომ საწარმოო სიმძლავრის უკმარისობამ გამოიწვია წარმოებული პროდუქციის იმაზე უფრო დაბალი მოცულობები, ვიდრე საჭირო იყო მუდმივი დანახარჯების დასაფარად. გარდა ამისა, ABC კომპანია მთელი თავისი პროდუქციის გაყიდვისთვის ეყრდნობა ორ ძირითად მომხმარებელს და მათგან ერთ-ერთი უკიდურესად უკმაყოფილოა და კომპანიას სასამართლოში ჩივილით ემუქრება.

დაბოლოს, არსებობს კომპონენტების (მინის ფლაკონების) შესყიდვებთან, სამუშაო ძალასა და საოპერაციო საკითხებთან უშუალოდ დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც უნდა გადაიჭრას.

iii) ლიდერობა

ABC კომპანიის ხელმძღვანელობამ სასწრაფოდ უნდა მოაგვაროს ეს საკითხები და იმოქმედოს პროაქტიულად, რათა შეისწავლოს კომპანიის ამჟამინდელი მდგომარეობა და მოიფიქროს მდგომარეობის გაუმჯობესების გზები. მან ეს უნდა გააკეთოს პრიორიტეტების მიხედვით, კერძოდ, პრობლემის მნიშვნელობისა და გადაუდებლობის გათვალისწინებით. ცხადია, უკეთესი შედეგების მისაღწევად,

ხელმძღვანელობამ, პირველ რიგში, კონცენტრაცია უნდა მოახდინოს როგორც თავის მომხმარებლებზე, ისე მათ საჭიროებებზე, ასევე მოაგვაროს კომპონენტების მიწოდების, სამუშაო ძალისა და საოპერაციო პრობლემები.

iv) სტრატეგია

ABC კომპანიის წინაშე არსებული პრობლემების გადასაჭრელად აუცილებელია ალტერნატიული სტრატეგიების განხილვა, მაგალითად, როგორ უნდა მართოთ მომხმარებლები, როგორც გადაუდებელი საკითხი და როგორ უნდა გაუმჯობესდეს საწარმოო სიმძლავრე შესყიდვებთან, სამუშაო ძალასა და ოპერაციებთან/პროცესებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრით. საშუალოვადიან პერსპექტივაში კომპანიამ უნდა გადახედოს თავის ბიზნესმოდელს, მაგალითად, კომპანიის დამოკიდებულებას მხოლოდ ორ მთავარ მომხმარებელზე და ასევე ვაჭრების ფასდადგენის საერთო პოლიტიკას.

v) მომხმარებლები

კომპანიამ პოზიტიური და აქტიური ურთიერთკავშირი უნდა დაამყაროს თავის ორ მთავარ მომხმარებელთან, რათა უზრუნველყოს, რომ საბოლოოდ შეძლებს სახელშეკრულებო შეთანხმებების შესრულებას ორივე მთავრობის წინაშე. თუმცა, ჯერ ზუსტად უნდა დაადგინოს, რაში მდგომარეობს მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები და რა სახის მოქნილობა შეიძლება არსებობდეს ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების შესატანად. ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ნებისმიერი მოქნილობის მიხედვით, ABC კომპანიამ ორივე მომხმარებელი უნდა დაარწმუნოს, რომ მას შეუძლია სახელშეკრულებო ვალდებულებების მისაღებ ვადებში შესრულება.

მოკლევადიან პერსპექტივაში შესაძლოა აუცილებელი გახდეს Y ქვეყანაში მდებარე ქარხნიდან პროდუქციის ნაწილის იმპორტირება ან Z ქვეყანაში მდებარე ქარხნიდან Y ქვეყანაში ექსპორტის შემცირება. ეს წინადადებები უნდა შეესაბამებოდეს Y ქვეყანასთან ადრინდელი წინასწარი შეკვეთების დასრულებისთვის საჭირო მისაღებ ვადებს და ასევე Z ქვეყნის მიმართ არსებული საერთო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას.

vi) სამუშაო ძალა

როგორც ჩანს, Z ქვეყნის ქარხანაში სამუშაო ძალის დეფიციტის პრობლემა და ეს პრობლემა აუცილებლად უნდა მოგვარდეს. პერსონალის არგამოცხადება განპირობებულია ვირუსით გამოწვეული ავადმყოფობით, რომლის თავიდან ასაცილებლადაც განკუთვნილია წარმოებული ვაჭრინა. გადაუდებელი ამოცანა იქნება დამატებითი პერსონალის ხელახლა განაწილება, შესაძლოა Y ქვეყანაში მდებარე რომელიმე სხვა ქარხნიდან, ან Z ქვეყნის ქარხნისთვის დამატებითი პერსონალის დაქირავება ადგილობრივი მაცხოვრებლებიდან. სხვა შესაძლო გამოსავალი იქნება ორივე ქარხანაში მომუშავე მთელი პერსონალის ვაჭრინაციის ჩატარება, რათა კომპანიამ თავიდან აიცილოს ვირუსის შემდგომი გავრცელება სამუშაო გარემოში. შეიძლება არსებობდეს სხვა შესაძლებლობებიც, მაგალითად პროცესების რეორგანიზაცია და პერსონალის გადამზადება, რათა გაუმჯობესდეს პროდუქტიულობა ან/და შემცირდეს ქარხნის ექსპლუატაციისთვის საჭირო პერსონალის რაოდენობა.

vii) ოპერაციები

როგორც ჩანს, კონკრეტული საოპერაციო პრობლემა დაკავშირებულია მინის ფლაკონების მიწოდებასთან, რომელშიც ვაჭრინა ნაწილდება შეფუთვამდე. ეს

საკითხი უნდა გამოიკვლიოს კომპანიამ და გამოსავალი მოძებნოს. ერთ-ერთი ვარიანტი შეიძლება იყოს ალტერნატიული მომწოდებლების მოძიება ან სხვა მასალის გამოყენება, როგორცაა შესაფერისი ტიპის პლასტმასის ჭურჭელი ვაქცინისთვის, რამაც შესაძლოა დანახარჯების ეკონომიაც გამოიწვიოს.

მართალია, ეს ნათლად არ ჩანდა თქვენთან ერთად ჩატარებული განხილვიდან, მაგრამ, როგორც ჩანს, კიდევ არის ოპერაციებთან და პროცესებთან დაკავშირებული სხვა ტექნიკური პრობლემები, რომლებიც საჭიროებს გამოკვლევას, რამაც შეიძლება არა მხოლოდ წარმოების პრობლემები გამოიწვიოს, არამედ გაზარდოს დანახარჯების ბაზაც. თუ სათანადოდ გამოიკვლევთ და გადაჭრით ამ პრობლემებს, შესაძლებელია, რომ წარმოებული პროდუქცია გაიზარდოს და პროდუქციის ერთეულზე დანახარჯების ეკონომიაც მიიღოთ, რაც ხელს შეუწყობს მოგების მარჯის გაზრდას.

viii) მაჩვენებლები (შეფასება), ანალიზი და ცოდნის მართვა

ABC კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კრიტიკული სფეროს განხილვისას, კომპანიამ უნდა გამოიყენოს ცოდნის ეფექტური მართვა კომპანიის საქმიანობის (შედეგების) შესაფასებლად და გასაანალიზებლად, განსაკუთრებით საოპერაციო სფეროებში; უნდა შეაფასოს და გააანალიზოს დანახარჯები და ჩაატაროს წონასწორობისა და ხარჯი-მოცულობა-მოგების ანალიზი, რათა დადგინდეს მინიმალური რეალიზაციის ის მოცულობები, რომელიც უნდა გაიყიდოს თავისი დანახარჯების დასაფარად და წარმოების მოცულობასთან დაკავშირებული მიზნების მისაღწევად, როგორც სამუშაო ძალის, ისე ოპერაციების თვალსაზრისით.

ix) დასკვნები

ABC კომპანია კრიტიკულ სიტუაციაშია. ეს პრობლემები სასწრაფოდ უნდა მოგვარდეს. კომპანიისთვის ყველაზე სასწრაფო და გადაუდებელი ქმედება იქნება ძირითად მომხმარებლებთან ეფექტური მოლაპარაკება და მათი მოლოდინების მართვა, განსაკუთრებით Z ქვეყნის მომხმარებლის (მთავრობის), რომელიც სასამართლოში ჩივილით იმუქრება. შემდეგ, ხელშეკრულების პირობების ფარგლებში ნაგულისხმევი/გათვალისწინებული ნებისმიერი მოქნილობის გამოვლენა. გარდა ამისა, კომპანიამ უნდა გადაჭრას ვაქცინის მიწოდების პრობლემებიც, ორივე ქარხნიდან ვაქცინის მიწოდების გრაფიკის ხელახლა დაგეგმვით; უნდა იზრუნოს არსებული სამუშაო ძალის/დასაქმებულთა რიცხოვნობის გაზრდაზე და კომპონენტის მიწოდების საკითხების მოგვარებაზე, რომლებიც გავლენას ახდენს პროდუქციისთვის საბოლოო სახის მიცემაზე (ფლაკონებში ვაქცინის ჩასხმაზე). კიდევ არის გადასატრეული სხვა გადაუდებელი ოპერაციული/პროცესული საკითხები, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში; გარდა ამისა, ABC კომპანიამ უნდა გადახედოს თავის ფასდადგენის საერთო მოდელს, დანახარჯების სტრუქტურას და იფიქროს, როგორ შეამციროს მხოლოდ ორ მთავარ მომხმარებელზე დამოკიდებულება სხვა ხელშეკრულებების მოძიებით, შესაძლოა უფრო უკეთესი პირობებითაც კი.



გლობალური ეკონომიკა სუსტი ზრდისკენაა მიმართული

2022 წლის მეორე კვარტლის გლობალური ეკონომიკური პირობების კვლევაში (GECS) ყველა ძირითადი მაჩვენებელი დაეცა, რაც გლობალური ეკონომიკური მოლოდინების მკვეთრ გაუარესებაზე მიანიშნებს.

ACCA-სა და IMA®-ის გლობალური ეკონომიკური პირობების კვლევის (GECS) უახლესი გამოცემის მიხედვით, სუსტი ზრდა ყველაზე სავარაუდო შედეგია 2022 წლის დანარჩენი პერიოდისთვის.

მეორე კვარტლის გლობალური ეკონომიკური პირობების კვლევა (GECS), რომელიც ივნისის შუა რიცხვებში ჩატარდა, მიუთითებს გლობალური ეკონომიკური პერსპექტივის გადამწყვეტ გაუარესებაზე, უკრაინაში ომის შედეგებისა და ინფლა-

ციის ზრდის გამო მთელ მსოფლიოში. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ რისკები გაიზარდა, მინიშნებები იმაზე მეტყველებს, რომ გლობალური რეცესიის თავიდან აცილება შესაძლებელი იქნება.

ასევე უნდა აღინიშნოს, მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური პროფესიონალების ნდობა ეკონომიკური პროცესების მიმართ მკვეთრად დაეცა, ნდობის დონე მაინც უფრო მაღალ მაჩვენებელს ინარჩუნებს, ვიდრე Covid-19 პანდემიის დროს.

ორი „შიშის“ ინდექსი - რომელიც ასახავს შემფოთების დონეს იმის გამო, რომ მომხმარებლებმა და მომწოდებლებმა შეიძლება დატოვონ ბიზნესი - მცირედით შეიცვალა მეორე კვარტლის კვლევაში

და გასულ პერიოდთან შედარებით ორივე ოდნავ მაღალი იყო. ორივე ინდექსი გაუმჯობესდა 2020 წელს დაფიქსირებულ უკიდურეს დონეებთან შედარებით, მაგრამ მაინც მაღლა დგას პანდემიამდელ მაჩვენებელთან შედარებით.

ნდობის ყველაზე დიდი ვარდნა დაფიქსირდა ახლო აღმოსავლეთში, რეგიონში, რომელიც უფრო მეტად ექვემდებარება ვაჭრობას რუსეთთან/უკრაინასთან, მაშინ, როცა ჩრდილოეთ ამერიკასა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში განსაკუთრებით დიდი ვარდნა დაფიქსირდა ბოლო თვეების განმავლობაში, ინფლაციის დიდი ნახტომის გამო.

სხვაგან ნდობის ვარდნა მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ უფრო მცირე მასშტაბის. მხოლოდ ჩრდილოეთ ამერიკაში დაეცა ნდობა 2020 წლის Covid-19 პანდემიის დროს დაფიქსირებულ დონემდე.

მიუხედავად იმისა, რომ სამომავლო მოლოდინები გაუარესდა, ნდობის ვარდნა გაცილებით დიდია, ვიდრე შეკვეთებში. მართლაც, შეკვეთები - ეკონომიკური აქტივობის წამყვანი მაჩვენებელი - მათ გრძელვადიან საშუალო მაჩვენებელზე მაღალია. დასაქმების ინდექსი ასევე ბევრად აღემატება მის გრძელვადიან საშუალოს, მიუხედავად ბოლო კვარტალში ვარდნისა. საშუალო ბაზრები მჭიდროა და დასაქმება იზრდება ბევრ ეკონომიკაში, რაც გარკვეულწილად ანაზღაურებს მაღალი ინფლაციის გავლენას რეალურ შემოსავალზე.

პირველ კვარტალში ჩატარებული გამოკითხვის შემდეგ, მთავარი შეშფოთების ჩამონათვალში, ფინანსურმა პროფესიონალებმა Covid-ის შესახებ შეშფოთება ინფლაციითა და მზარდი საპროცენტო განაკვეთებით შეცვალეს. მაგრამ ზედიზედ მესამე GECS-ისთვის, მიწოდების დეფიციტი და მიწოდების ჯაჭვის საკითხები რჩება ყველაზე მაღალი რანგის რისკებად. არსებობს იმედი, რომ ეს საკითხი წლის ბოლოსთვის აქტუალური აღარ იქნება.

ჯეიმი ლიონმა, ACCA-ს უნარების, სექტორებისა და ტექნოლოგიების ხელმძღვანელმა, თქვა: „პოსტპანდემიურმა აღდგენამ ახლა ადგილი დაუთმო უმნიშვნელო ეკონომიკურ ზრდას, ამაღლებულ ინფლაციას და უკიდურეს გაურკვევლობას. უკრაინის ომმა კიდევ უფრო გაზარდა ინფლაცია საქონლის ფასების ამაღლებით. მაგრამ ინფლაცია უკვე მაღალი იყო და იზრდებოდა ომის დაწყებამდე, თებერვალში: მოთხოვნის ძლიერ აღდგენას, რომელიც გამოწვეული იყო Covid-ის პანდემიის მასიური მონეტარული და ფისკალური პასუხით, შედეგად მიწოდების დეფიციტი მოჰყვა, რამაც, თავის მხრივ, ფასების ზეწოლა გამოიწვია.“

ლორეალ ჯაილსმა, IMA-ს ვიცე-პრეზიდენტმა კვლევისა და ლიდერობის საკითხებში, დაამატა: „მაღალი ინფლაცია იწვევს რეალური ერთეულები შემოსავლის ვარდნას, რაც ზეწოლას ახდენს კერძო მოთხოვნაზე, განსაკუთრებით, საყოფაცხოვრებო მოხმარებაზე. როგორც სურსათზე, ასევე ენერგიაზე ფასები სწრაფად იზრდება. შედეგი არის საარსებო მინიმუმის შემცირება დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახებისთვის მოწინავე ეკონომიკებში და პრაქტიკულად, ყველა დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყანაში, სადაც ეს ორი კატეგორია იკავებს ხარჯების დიდ წილს.“

„გლობალური რეცესიის რისკები გაიზარდა, მაგრამ ჩვენი ძირითადი პროგნოზი ის არის, რომ ზრდა დადებითი იქნება, თუმცა კი - საკმაოდ სუსტი. დასაქმების ზრდამ შეიძლება ხელი შეუწყოს მთლიან მოხმარებას. მიუხედავად ამისა, 2020 წლის Covid-ის რეცესიის გამოკლებით, ჩვენ ველით, რომ გლობალური მშპ-ს ზრდა წელს და მომავალ წელს ყველაზე სუსტი იქნება 2007-09 წლების გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ.“

წყარო: accaglobal.com

სტანდარტების პროექტი იძლევა ძლიერ საფუძველს კორპორატიული კლიმატის მნიშვნელოვანი გამჟღავნებისთვის



Think Ahead

ACCA მიესალმება ISSB სტანდარტებს, მაგრამ აფრთხილებს უფრო მეტი მითითებებისა და თანმიმდევრულობის საჭიროების თაობაზე

ACCA ამბობს, რომ მდგრადობის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ISSB) სტანდარტების პროექტები სასწრაფოდ არის საჭირო იმისათვის, რომ უზრუნველყოს თანმიმდევრული გლობალური საბაზისო ხაზი კომპანიებისთვის, რომლებიც აწარმოებენ მდგრადობასთან დაკავშირებულ ანგარიშგებას.

მიესალმება რა ორ სატესტო პროექტს (EDs,) ACCA აღნიშნავს, რომ აუცილებელია, ანგარიშგებამ განახორციელოს აუცილებელი სისტემური ცვლილებები მდგრადობის ანგარიშგების სფეროში, მოხდეს ოპერაციული ცვლილებები კომპანიებში და ინვესტორებმა გამოიყენონ მოწოდებული ინფორმაცია კაპიტალის უფრო ეფექტურად და პასუხისმგებლობით გადანაწილებისთვის.

ISSB-ის ექსპოზიციის პროექტის (ED) IFRS S1, ზოგადი მოთხოვნები მდგრადობასთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ კომენტირებისას ACCA ითხოვს მდგრადობასთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის მნიშვნელობის მკაფიო განმარტებას. ბუღალტრული აღრიცხვის გლობალური ორგანო ასევე მოუწოდებს სტანდარტების

შემქმნელებს, მეტი მითითებები გასცენ, თუ როგორ განსაზღვრავენ სუბიექტები მატერიალურობას მდგრადობის საკითხებზე ანგარიშგებისას.

მოთხოვნებთან თანხმობასთან ერთად, ACCA ასევე აფრთხილებს, რომ შემოთავაზებული გამჟღავნება რისკებისა და შესაძლებლობების შესახებ, რომლებიც წარმოიქმნება კომპანიების მიწოდების ჯაჭვებიდან, მათ შორის Scope 3 ემისიები, წარმოადგენს ახალ გამოწვევებს მრავალი კომპანიისთვის, რომლებიც ჯერ კიდევ ცდილობენ შეიმუშაონ ინფორმაციის მიწოდების მეთოდები.

შერონ მაჩადო, ACCA-ს მდგრადი ბიზნესის ხელმძღვანელი ამბობს: „ED არ განსაზღვრავს, რა არის „მდგრადობასთან დაკავშირებული“. შედეგად, რისკებისა და შესაძლებლობების სიღრმე და ფარგლები, რომლებიც გასათვალისწინებელი და გამჟღავნებულია, რჩება მწარმოებელი კომპანიების განსჯის საგნად, თანმიმდევრული გამოყენების, შედარების, აგრეთვე ანგარიშგების ხარჯებისა და ძალისხმევის საზიანოდ.“

„ჩვენ მოვუწოდებთ ISSB-ს, წარმოადგინოს უფრო მკაფიო მითითება, როგორც სტანდარტში, ასევე საილუსტრაციო მაგალითებით, თუ რა შეიძლება მოიცავდეს მდგრადობას. ACCA ვარაუდობს, რომ ISSB-ს შეუძლია გამოიყენოს ექვსი ინტეგრირებული საანგარიშგებო კაპიტალი, როგორც სასარგებლო ჩარჩო „მდგრადობის“ ფართო და ჰოლისტიკური გაგებისთვის.“

ACCA ასევე მოუწოდებს ISSB-ს, არ გახადოს გამჟღავნების მოთხოვნა ძალიან მოცულობითი. იმისათვის, რომ ანგა-

რიშგება მოემსახუროს მომხმარებელთა საჭიროებებს და მოახდინოს კაპიტალის უფრო ეფექტური და მდგრადი განაწილება, აუცილებელია, ინფორმაცია იყოს წარმოდგენილი მკაფიოდ და ლაკონურად. გამჟღავნების გადატვირთვა გაურთულებს ინვესტორებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს მათთვის საჭირო ინფორმაციის მოძიებას.

IFRS S2 კლიმატთან დაკავშირებული გამჟღავნების კომენტირებისას, ACCA სვამს კითხვას, ასახავს თუ არა SASB-დან მიღებული ინდუსტრიის სპეციფიკური გამჟღავნების მოთხოვნები გამჟღავნების შესაბამის თემებსა და მეტრიკას განვითარებადი ეკონომიკის კონტექსტში. ACCA ამტკიცებს, რომ ვიდრე ინდუსტრიის სპეციფიკური მოთხოვნების საერთაშორისო გამოყენებადობის უფრო სრულად შესაფასებლად სავსე ტესტირება არ ჩატარდება, ისინი არ უნდა შეადგენდნენ სტანდარტის სავალდებულო ნაწილს, არამედ უნდა დაიკავონ განაცხადის სახელმძღვანელოს ადგილი.

ACCA-მ ასევე ხაზი გაუსვა კვალიფიკაციის გლობალურ დეფიციტს. ადამიანური რესურსის ამ ნაკლებობამ შეიძლება კიდევ უფრო გაზარდოს შესაბამისობის ხარჯები. ACCA მოუწოდებს ISSB-ს, იმუშაოს მარეგულირებელებთან, პროფესიულ ორგანიზებთან, IFAC-თან და მსოფლიო ბანკთან, რათა განავითაროს შესაძლებლობები ანგარიშგების პროფესიებში მთელ მსოფლიოში.

ACCA-ს პასუხი ეყრდნობოდა ACCA-ს კორპორატიული მოხსენების გლობალური ფორუმის და მდგრადობის გლობალური ფორუმის დახმარებას. ინფორმაციის შეგროვება ასევე მოხდა გლობალური



შარონ მაჩადო, ACCA-ს ბიზნესანგარიშგების ხელმძღვანელი

წევრების ღონისძიებებიდან და მრგვალი მაგიდეებიდან, რომლებიც გაიმართა ASEAN-ის რეგიონში 2022 წლის მაისიდან ივლისამდე. ISSB-ის სტანდარტების დადგენის მცდელობების უშუალო ინფორმირების მიზნით, ACCA ახორციელებს ერთობლივ კვლევით პროექტს გლაზგოს უნივერსიტეტთან.

სტანდარტების დანერგვის კომენტირებისას, ACCA მოუწოდებს ISSB-ს შეიმუშაოს განხორციელების საგზაო რუკა თავის იურისდიქციულ სამუშაო ჯგუფთან ერთად, რათა მიმართულება მისცეს ეროვნულ მარეგულირებლებს და უზრუნველყოს თანმიმდევრული განხორციელება მთელ მსოფლიოში.

შერონ მაჩადომ დასკვნის სახით განაცხადა: „განხორციელების ეტაპობრივი მიდგომა, რომელიც ასახავს ერთეულების ზომას და იმ რესურსებს, რომლებიც საჭიროა იმპლემენტაციისთვის, შეიძლება იყოს შესაბამისი. მცირე ზომის სუბიექტებს აქვთ ყველაზე დიდი დრო, სანამ მოთხოვნები მათთვის სავალდებულო გახდება.“

წყარო: [accaglobal.com](https://www.accaglobal.com)

ვებგვერდი, 11/07/2022
სარეგისტრაციო კოდი
200090000.22.033.017601

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება №223
2022 წლის 7 ივლისი ქ. თბილისი**

**„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის
№996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება და 88-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) მე-8 სვეტში: „თანხა“ – აისახება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი შეღავათის ოდენობა.

შენიშვნა: საერთაშორისო კომპანიასთან მიმართებაში, აღნიშნულ სვეტში მიეთითება ქონების გადასახადის თანხა კალენდარული წლის განმავლობაში იმ თვეების პროპორციულად, რამდენ თვეშიც პირი ითვლებოდა საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მქონედ.

მაგალითი:

საწარმოს საერთაშორისო კომპანიის სტატუსი მიენიჭა 2021 წლის 5 მაისს, შესაბამისად, იგი საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მქონედ ითვლებოდა 2021 წლის 1 მაისიდან.

საწარმოს დასაბეგრი ქონების ღირებულება წლის დასაწყისში შეადგენს 100 000 ლარს, ხოლო წლის ბოლოსთვის – 140 000 ლარს. შესაბამისად, ქონების საშუალო წლიური საბალანსო ღირებულება (სვ. 6) შეადგენს 120 000 ლარს ((100000 ლარი + 140000 ლარი): 2), ხოლო საგადასახადო შეღავათის თანხა (სვ. 8) – 80 000 ლარს (120000:12X8);

ზ) მე-9 სვეტში: „შეღავათის საფუძველი“ – მიეთითება საგადასახადო შეღავათის საფუძველი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისი ნორმა;“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლამა ხუციშვილი

ვებგვერდი, 11/07/2022
სარეგისტრაციო კოდი
200090000.22.033.017602

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება №224
2022 წლის 7 ივლისი ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს
ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნას ცვლილება და 66⁵ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 66⁵. ცალკეული შემთხვევები, როდესაც მომსახურების გაწევის ადგილი განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 162¹ მუხლის მე-3 ან მე-12–მე-14 ნაწილებისგან განსხვავებული წესით**

თუ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 162¹ მუხლის მე-3 ან მე-12–მე-14 ნაწილების მიხედვით, ტურისტული მომსახურების გაწევის ადგილად ითვლება საქართველოს ტერიტორია, მაგრამ ამ მომსახურებით ფაქტობრივი სარგებლობა ან/და მისი გამოყენება ხდება საქართველოს ტერიტორიის გარეთ, აღნიშნული მომსახურება განიხილება საქართველოს ფარგლების გარეთ გაწეულად.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლაშა ხუციშვილი

ვებგვერდი, 15/07/2022
სარეგისტრაციო კოდი
200090000.22.033.017604

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება №230
2022 წლის 14 ივლისი ქ. თბილისი**

**„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს
ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დანართი №II-06-ის („გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაცია“) III ნაწილი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლაშა ხუციშვილი

ნაწილი III

განაცემის დასახელება		
დაქირავებით მომუშავე ფიზიკურ პირებზე ხელფასის/სარგებლოს (ფულადი, ნატურალური) სახით გაცემული ანაზღაურება (გარდა 563 გრაფაში ასახული განაცემისა). მათ შორის:	16	
ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას (შეღავათების გამოკლებით)	17	
რეზიდენტი ფიზიკური პირისთვის გადახდილი როიალტი	18	
ფიზიკურ პირებზე გადახდის წყაროსთან დაბეგვრას დაქვემდებარებული განაცემები (გარდა პროცენტებისა):	რომელიც იბეგრება 20%-ით	19
	რომელიც იბეგრება 5%-ით	20
ფიზიკური პირის მიერ საქონლის მიწოდებით მიღებული შემოსავალი, რომელიც საქონლის შემძენი პირის მიერ სსკ-ის 1333 მუხლის შესაბამისად იბეგრება გადახდის წყაროსთან 3-პროცენტიანი განაკვეთით	20 ¹	
არადაქირავებულ ფიზიკურ პირებზე გაცემული თანხები, რომელიც არ უკავშირდება მომსახურების ანაზღაურებას და ამასთან, ექვემდებარება გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავებას (გარდა დივიდენდებისა და ანაზღაურებზე გაცემული პროცენტებისა)	21	
ფიზიკურ პირებზე გაცემული დივიდენდები, მათ შორის :	22	
ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას (შეღავათების გამოკლებით)	23	
ფიზიკურ პირებზე გაცემული პროცენტები, მათ შორის :	24	
ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას (შეღავათების გამოკლებით)	25	
ტურისტული საწარმოს მიერ სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის მესაკუთრე ფიზიკურ პირზე შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ანაზღაურება	26	

მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტ ფიზიკურ პირებზე გაწეული მომსახურებისათვის გაცემული ანაზღაურება (გარდა პროცენტებისა და დივიდენდისა), მათ შორის:			27	
საქართველოს საგადასახადო კოდექსის 134-ე მუხლის:	პირველი ნაწილის:	„ბ ¹ “ ქვეპუნქტით (განაკვეთი 5 %)	28	
		„გ“ ქვეპუნქტით (განაკვეთი 10 %)	29	
		„დ“ ქვეპუნქტით (განაკვეთი 4 %)	30	
		„ე“ ქვეპუნქტით (განაკვეთი 10 %)	31	
	1 ¹ ნაწილით (განაკვეთი 15%)		32	
მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტ ფიზიკურ პირებზე გაწეული მომსახურებისათვის გაცემული ანაზღაურება (შეღავათების გამოკლებით), რომელიც ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას (გარდა პროცენტებისა და დივიდენდისა), მათ შორის:			33	
საქართველოს საგადასახადო კოდექსის 134-ე მუხლის:	პირველი ნაწილის:	„ბ ¹ “ ქვეპუნქტით (განაკვეთი 5 %)	34	
		„გ“ ქვეპუნქტით (განაკვეთი 10 %)	35	
		„დ“ ქვეპუნქტით (განაკვეთი 4 %)	36	
		„ე“ ქვეპუნქტით (განაკვეთი 10 %)	37	
	1 ¹ ნაწილით (განაკვეთი 15%)		38	
ბიუჯეტში გადასახდელი წყაროსთან დაკავებული საშემოსავლო გადასახადი (მე-17-მე-20 , 201, 21-ე , 23-ე , 25-ე , 26-ე , 34-ე-38-ე უჯრებში ასახული თანხების შესაბამის საგადასახადო განაკვეთებზე ნამრავლის ჯამი)			39	
ორგანიზაციებზე და საქართველოში მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტ საწარმოებზე გადახდის წყაროსთან დაბეგვრას დაქვემდებარებული განაცემები, მათ შორის:			40	
ა) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 134-ე მუხლის:	პირველი ნაწილის:	„ბ ¹ “ ქვეპუნქტით (განაკვეთი 5 %)	41	
		„გ“ ქვეპუნქტით (განაკვეთი 10 %)	42	
		„დ“ ქვეპუნქტით (განაკვეთი 4 %)	43	
		„ე“ ქვეპუნქტით (განაკვეთი 10 %)	44	
	1 ¹ ნაწილით (განაკვეთი 15%)		45	
ბ) დივიდენდები (განაკვეთი 5%)			46	
გ) პროცენტები (განაკვეთი 5%)			47	
ორგანიზაციებზე და საქართველოში მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტ საწარმოებზე გადახდის წყაროსთან დაბეგვრას დაქვემდებარებული განაცემები (შეღავათების გამოკლებით), მათ შორის :			48	
ა) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 134-ე მუხლის:	პირველი ნაწილის:	„ბ ¹ “ ქვეპუნქტით (განაკვეთი 5 %)	49	
		„გ“ ქვეპუნქტით (განაკვეთი 10 %)	50	
		„დ“ ქვეპუნქტით (განაკვეთი 4 %)	51	
		„ე“ ქვეპუნქტით (განაკვეთი 10 %)	52	
	1 ¹ ნაწილით (განაკვეთი 15%)		53	

ბ) დივიდენდები (განაკვეთი 5%)	54	
გ) პროცენტები (განაკვეთი 5%)	55	
გადახდის წყაროსთან ორგანიზაციებისთვის და საქართველოში მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტი საწარმოებისათვის დაკავებული ბიუჯეტში გადასახდელი გადასახადი (49-ე-55-ე უჯრებში ასახული თანხების შესაბამის საგადასახადო განაკვეთებზე ნამრავლის ჯამი)	56	
2008 წლის პირველ იანვრამდე პერიოდებზე გაუცემელი ანაზღაურებები, რომლებზეც დარიცხულია სოციალური გადასახადი	56 ¹	
2008 წლის პირველ იანვრამდე გაუცემელი ანაზღაურებებიდან მის შემდეგ პერიოდებში გაცემულია:	56 ²	
მათ შორის, საანგარიშო თვეში	56 ³	
სოციალური გადასახადი საანგარიშო თვეში გაცემულ ანაზღაურებაზე (56 ³ უჯრაში ასახული თანხის შესაბამის გადასახადის განაკვეთზე ნამრავლი)	56 ⁴	
გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადი საანგარიშო თვეში გაცემულ ანაზღაურებაზე (56 ³ უჯრაში ასახული თანხის შესაბამის საგადასახადო განაკვეთზე ნამრავლი)	56 ⁵	
სულ ბიუჯეტში გადასახდელი წყაროსთან დაკავებული გადასახადების ჯამი შესამცირებელი საშემოსავლო გადასახადის გათვალისწინებით (39-ე, 56-ე, 56 ⁵ უჯრებში და „დეკლარაციის დანართი „დ“-ს მე-6 სვეტში ასახული თანხების ჯამს გამოკლებული „დეკლარაციის დანართი „ა“-ს მე-14 სვეტში ასახული თანხების ჯამი) მათ შორის:	57	
აჭარის ა . რ . რესპუბლიკური ბიუჯეტის კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი	57 ¹	
აფხაზეთის ა . რ . რესპუბლიკური ბიუჯეტის კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი	57 ²	
ინფორმაციისათვის		
შენიშვნა: 67-ე , 68-ე და 69-ე უჯრების შევსება სავალდებულოა		
მიწოდებული საქონლის / გაწეული მომსახურების ღირებულება	58	
სამეურნეო ოპერაციის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯი	59	
საგადასახადო ორგანოს მიერ ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი სასაქონლო - მატერიალური ფასეულობების დანაკლისის ოდენობა	60	
ფიზიკურ პირთა რიცხოვნება, რომლებზეც გაცემულია მე-16 უჯრაში ასახული თანხა	61	
არადაქირავებულ ფიზიკურ პირებზე გაცემული თანხები, რომელიც არ უკავშირდება მომსახურების ანაზღაურებას და არ ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას	62	
ნაღდი ანგარიშსწორებით განხორციელებული ბრუნვა. მათ შორის:	63	
საკონტროლო - სალარო აპარატების საშუალებით	64	
მაქსიმალური ხელფასი	65	
მინიმალური ხელფასი	66	
ნაღდი ფულის ნაშთი თვის ბოლოსათვის	67	
საქვეანგარიშოდ გაცემული თანხა	68	
პირთა რაოდენობა, რომლებზეც გაცემულია 68-ე უჯრაში ასახული თანხა	69	

ვებგვერდი, 01/08/2022
სარეგისტრაციო კოდი
200090000.22.033.017609

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება №262
2022 წლის 29 ივლისი ქ. თბილისი**

**„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს
ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება და 81¹ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 - მე-8 პუნქტები:

„6. თუ აქციზური/არააქციზური მარკებით ნიშანდებულ იქნა ამავე მარკების სახეობისთვის შეუსაბამო საქონელი, შემოსავლების სამსახურის უფროსი უფლებამოსილია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, შესაბამისი მარკები ჩათვალოს დაბრუნებულად და უტილიზირებულად, თუ შესრულებდა ქვემოთ მოცემული ყველა პირობა:

ა) საბაჟო საწყობში განხორციელდა ან/და საგადასახადო ორგანოს მიერ გამოვლინდა არასწორი ნიშანდება;

ბ) აქციზური/არააქციზური მარკებზე სრულყოფილად იდენტიფიცირდება შესაბამისი რეკვიზიტები;

გ) შერჩეული პირისთვის და საგადასახადო ორგანოსთვის წარდგენილია ინფორმაცია (რეესტრი) შესაბამისი საქონლის დასახელების, რაოდენობის და მათზე დაკრული აქციზური/არააქციზური მარკების სერიული ნომრის/სერიული ნომრის დიაპაზონის მითითებით. აღნიშნული ინფორმაციის (რეესტრის) სისწორე ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებულია (არსებობის შემთხვევაში) გადასახადის გადამხდელის მიერ მოწვეული დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში:

ა) შესაბამისი ინფორმაციის (რეესტრის) წარდგენიდან შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე, საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია ადგილზე გადაამოწმოს ფაქტობრივი გარემოებები და წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორე;

ბ) გადასახადის გადამხდელი ვალდებულია შერჩეულ პირს და საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს:

ბ.ა) შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ჩაბარებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, მის მიერ მოწვეული დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული (არსებობის შემთხვევაში) აქტი შესაბამისი მარკების განადგურების შესახებ;

ბ.ბ) არაუგვიანეს საქონლის მიწოდებისა ან საბაჟო საწყობიდან გატანის მომენტისა, ინფორმაცია (რეესტრი) შესაბამისი საქონლის დასახელების, რაოდენობის და მათზე დაკრული მველი და ახალი მარკების სერიული ნომრების/სერიული ნომრების დიაპაზონების მითითებით.

8. გადასახადის გადამხდელის მიერ ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცხადდება ბათილად.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლამა ხუციშვილი

ვებგვერდი, 01/08/2022
სარეგისტრაციო კოდი
200090000.22.033.017610

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანებ №264
2022 წლის 29 ივლისი ქ. თბილისი**

**„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს
ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება და 112-ე მუხლის მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. 2023 წლის 31 ივლისის ჩათვლით შერჩეულ პირს არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების ნომინალური ღირებულება აუნაზღაურდება შემოსავლების სამსახურის მიერ, შერჩეულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2022 წლის 1 აგვისტოდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლაშა ხუციშვილი

ვებგვერდი, 18/07/2022
სარეგისტრაციო კოდი
010240080.64.076.016111

**ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა
და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის
უფროსის ბრძანება №7
2022 წლის 15 ივლისი ქ. თბილისი**

**„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახურის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო
მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის
2018 წლის 20 ივლისის №22 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2018 წლის 20 ივლისის №22 ბრძანებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 24/07/2018 წ., 010240080.64.076.016052) დამტკიცებულ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-4 მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) უმაღლესი განათლება (აუციელებელია იურიდიული ან/და ფსიქოლოგიური განათლება);

ბ) ადამიანური რესურსების მართვის სფეროში ან/და იურიდიული მიმართულებით მუშაობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება (სასურველია საჯარო სამსახურში მუშაობის გამოცდილება);

გ) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“, საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 14 სექტემბრის №223 ბრძანება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

დავით მჭედლიძე

რედაქციაში შემოსულ კითხვებზე პასუხები მოამზადა
ბაჟის საგადასახადო კომიტეტი

კითხვა:

პირმა რომ ნივთები ჩამოიტანოს ჩინეთიდან ოჯახისთვის, შვილისთვის, მეუღლის-თვის და თუნდაც თავისი მოხმარებისთვის, რომელთა ცალკეულის ღირებულება არ აღემატება 200-300 ლარს და საერთო ღირებულება 1550 ლარს, საბაჟოზე შემოსვლისას უნდა გადაიხადოს თუ არა დღგ და გემ-ის გადასახადი?

პასუხი:

თუ ნივთები ფიზიკური პირის მიერ:

- შემოტანილია საჰაერო ტრანსპორტით;
- ხდება 28-ე-97-ე ჯგუფებით განსაზღვრულის საქონლის იმპორტი
- საქონლის საერთო წონა არ აღემატება 30 კგ-ს.
- არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისთვის; და
- მათი ღირებულება არ აღემატება 3000 ლარს,

მაშინ ისინი საგადასახადო კოდექსით მოქმედი გადასახადებით დაბეგვრას არ ექვემდებარება (იხ. საგადასახადო კოდექსის 199."დ 8" და 309.132-ე მუხლები).

საქონლის საფოსტო გზით შემოტანისას თანხაში გამოხატული ზღვარი 3000 ლარის ნაცვლად შეადგენს 300 ლარს.

საზოგადოდ კი, საქონლის ღირებულების განსაზღვრისას მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვის შემოაქვს და არა იმას, თუ ვისთვის შემოაქვს საქონელი.

კითხვა:

ორი იურიდიული პირისათვის, თუ ორივე ესტონურ მოდელზეა გადასული, ვალის პატიება თუ არის იგივე, რაც უსასყიდლო მიწოდების დაბეგვრის რეჟიმი და თუ მოხდა ვალის პატიება იურიდიულ პირებს შორის, რა გადასახადით დაიბეგრება? ასევე გვაინტერესებს, როდესაც დებიტორის ჩამოწერა ხდება იურიდიული პირის შემთხვევაში რა ხდება და ფიზიკური პირის ვალის ჩამოწერისას რა გადასახადებით იბეგრება?

პასუხი:

სსკ-ის 983 მუხლში 2020 წელს შესული საკანონმდებლო ცვლილების შემდგომ, თუ ვალის პატიება ესტონური მოდელის საწარმოებს შორის ხორციელდება, მაშინ იგი არ დაექვემდებარება დაბეგვრას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საწარმო, რომელსაც აპატიეს ვალი, გათავისუფლებულია მოგების გადასახადისგან (მაგალითად, წარმოადგენს მაღალმთიანი ბონის საწარმოს), ვინაიდან ვალის ასეთი ჩამოწერის თუნდაც უსასყიდლო მიწოდებად მიჩნევის შემთხვევაშიც კი მოგების გადასახადით დაბეგვრა არ მოხდება, რადგან უსასყიდლო მიწოდება მომხდარია ე.წ. ესტონურ მოდელზე გადასულ პირზე (გარდა გათავისუფლებული პირისა) რაც მოგების გადასახადით არ იბეგრება.

თუ „ვალნაპატიები“ საწარმო არ არის გადასული „ესტონურ მოდელზე“ და მოგების გადასახადით იბეგრება წლიურად, მაშინ იგი ვალის პატიებით მიღებულ შემოსავალს ჩართავს თავის წლიურ ერთობლივ შემოსავალში და დაიბეგრება წლიური მოგების გადასახადით.

რაც შეეხება იმას, თუ ზოგადად როდის ჩაითვლება ვალის ჩამოწერა უსასყიდლოდ მიწოდებად და როგორ დაიბეგრება. მაგალითად, განვიხილოთ ფიზიკური პირისთვის ვალის პატიების შემთხვევები. ამ დროს გასათვალისწინებელია რამდენიმე გარემოება და დაბეგრის მიდგომები დამოკიდებული იქნება შემთხვევათა იმ კომბინაციაზე, რომლებიც დაფიქსირდება კონკრეტულად თქვენი კომპანიის შემთხვევაში:

1. ვალის ჩამოწერის უსასყიდლო მიწოდებად აღიარებასთან დაკავშირებით გამოცემულია შემოსავლების სამსახურის 2657 სიტუაციური სახელმძღვანელო, რომლის მიხედვითაც ვალის ჩამოწერის უსასყიდლო მიწოდებად აღიარება არ მოხდება 2 შემთხვევაში: თუ ჩამოწერილი ვალი ნაკლებია ვალის ამოღების ხარჯზე ან/და დებიტორმა მიმართა სასამართლოს და ვალის ამოღების შეუძლებლობის გამო ჩამოწერა დებიტორული დავალიანება.
2. დანარჩენ შემთხვევაში (გარდა 1 ნაწილში აღნიშნული შემთხვევებისა) ვალის ჩამოწერის უსასყიდლო მიწოდებად მიჩნევა ხდება ინდივიდუალურად, კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე და პრაქტიკაში, როგორც წესი, აღნიშნულის მტკიცების ტვირთი ეკისრება ვალის ჩამოწმერ მხარეს, რა დროსაც მან უნდა დაასაბუთოს, რომ აღნიშნული ჩამოწერა არ ისახავდა მიზნად გადასახადებისგან თავის არიდებას.
3. რაც შეეხება ვალის ჩამოწერისას ფიზიკურ პირისთვის საშემოსავლო გადასახადის დაკავების შესაძლებლობას - ეს შესაძლოა განხორციელდეს, თუ დებიტორული დავალიანება (სასესხო მოთხოვნა) წარმოშობილია საქონლის მიწოდებისას ან სესხის გაცემის შედეგად. ასეთი მოთხოვნის ჩამოწერის შემთხვევა 1 და 2 ნაწილებში მოცემული გარემოებების გათვალისწინებით შესაძლოა აღიარებული იქნეს ქონების უსასყიდლო მიწოდებად და ამ მუხლით განსაზღვრული პირობების დადგომისას (თუ ქონების ღირებულება წლის განმავლობაში მეტია 1000 ლარზე და ფიზიკური პირი არ არის ი/მ), აღნიშნული შესაძლოა დაიბეგროს საშემოსავლო გადასახადით სსკ-ის 154 მუხლის 1 ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის მიხედვით. მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდების შემთხვევები შემოსავლების სამსახურის რამდენიმე სიტუაციური სახელმძღვანელოს მიხედვით არ არის განხილული ქონების უსასყიდლო მიწოდებად სსკ-ის 154 მუხლის 1 ნაწილის მ ქვეპუნქტი მიხედვით და არ არის დაბეგრილი საშემოსავლო გადასახადით გადახდის წყაროსთან.

კითხვა:

შპს რეგისტრირებული იყო როგორც არაკვალიფიციური გადასახადის გადამხდელი, შესაბამისი პერიოდის გასვლის შემდეგ გახდა კვალიფიციური სტატუსის მქონე და მანამდე დასადასტურებელ ფაქტურებს ვადასტურებთ, ვაბამთ დეკლარაციებს. ასეთ შემთხვევაში მხოლოდ საქონლის ანგარიშ-ფაქტურებს ვითვლით თუ მიღებული მომსახურებისაც (იჯარა, ინტერნეტი)?

პასუხი:

ჩვენი ამრით, თქვენ შეგიძლიათ ჩაითვალოთ იმ საქონელზე/მომსახურებაზე გადახდილი დღგ, რომლის დროსაც თქვენ იყავით რეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად, თუ კმაყოფილდება საგადასახადო კოდექსის XXVI თავით (დღგ-ის ჩათვლა, კორექტირება და დაბრუნება) დადგენილი მოთხოვნები.

კითხვა:

სამოგადოებრივი ორგანიზაცია (ააიპ) რეგისტრირებულია სპორტული კლუბის სახით, რომელიც სპორტული ფედერაციის წევრია. კლუბს ფედერაცია აფინანსებს და ამავე ფედერაციამ დააჯარიმა სპორტული კლუბის ერთი წევრი, არასპორტული საქციელის გამო. გთხოვთ გვიპასუხოთ: ამ ჯარიმას ვინ იხდის, ის ფიზიკური პირი თუ სპორტული კლუბი და თუ გადაუხდის სპორტული კლუბი, დასაბეგრია ეს ჯარიმა საშემოსავლოთი ან მოგების გადასახადით?

პასუხი:

თუ ჯარიმა ეკისრება ფიზიკურ პირს, მაშინ ეს მისი გადასახდელი ჯარიმაა, ხოლო თუ ასეთ დროს მის ნაცვლად ჯარიმას გადაიხდის კლუბი, მაშინ შესაძლოა ამ ფიზიკურ პირს დაუკავდეს საშემოსავლო გადასახადი თუ ფიზიკური პირი ირიცხება კლუბში როგორც დაქირავებით მომუშავე.

სხვა შემთხვევებში დეტალურად არის განსაზღვრული კლუბისა და ფედერაციის წესდებები, ფიზიკურ პირთან სამართლებრივი ურთიერთობის სახე (თუ არ არის დაქირავებით მომუშავე მაშინ რა სამართლებრივ ურთიერთობაში ვართ ამ პირთან) და სხვა მნიშვნელოვანი დეტალები და მხოლოდ აღნიშნულის შემდგომ არის გადასაწყვეტი დაბეგვრის საკითხები.

კითხვა:

მოქალაქე, ფიზიკური პირი, კუთვნილი მანქანით მოემსახურა შპს-ს და გადაიხდა შპს-ს საქონელი. შპს-მ ბანკიდან გადარიცხვის დროს დანიშნულებაში მიუთითა სატრანსპორტო მომსახურება. გვაინტერესებს რა გადასახადები იქნება შპს-ს მხრიდან გადასახდელი?

პასუხი:

თუ ფიზიკური პირი არ არის ინდემნარმედ რეგისტრირებული პირი (ასევე არ არის დღგ-ს გადამხდელი), მაშინ მისთვის ანაზღაურების გაცემისას შპს დაუკავებს საშემოსავლო გადასახადს.

კითხვა:

ფიზიკური პირი რეგისტრირებულია როგორც მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე და კუთვნილი ფართი იჯარით აქვს გაცემული მეორე ფიზიკურ პირზე, ინდივიდუალურ მეწარმეზე. შეკითხვა მდგომარეობს შემდეგში: ვინ უნდა დაადეკლარიროს იჯარიდან შემოსავალი, დაბეგროს და გადაიხადოს ბიუჯეტში?

პასუხი:

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ვინაიდან ფართის გამქირავებელი არის მცირე მეწარმე (რაც დიდი ალბათობით მიაღწევს იმაზე, რომ იგი არის ი/მ), იჯარიდან შემოსავალს ადეკლარირებს და შესაბამის გადასახადს იხდის შემოსავლის მიმღები.

კითხვა:

შპს-ის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა, კერძოდ ფერმერული საქმიანობა: მოშენებული ჰყავს მწყერი, რომლიდანაც პროდუქტის სახით მიღებულიმწყერის კვერცხის და მწყერის ხორცისრეალიზაციას ახდენს გადამუშავების (მზა, ბუმბულ გაცლილი) გზით,ან კიდევ, პირდაპირი მიწოდებით (გადამუშავების გარეშე). შპს რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად. ცნობილია, რომ კვერცხი განთავისუფლებულია დღგ-სგან, მაგრამ ხორცი (ნებისმიერი ფორმით) დაბეგვრადი საქონელია. გვაიტერესებს, შეიძლება თუ არა ასეთი პირობების შემთხვევაში, შპს-მ შეძენილი ძირითადი საშუალებების და სხვა საქონლის ან მომსახურების მიღებიდან მოახდინოს დღგ-ს ჩათვლის ოპერაციები, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მწყერის ხორცის რეალიზაცია არ მოუხდენია?

პასუხი:

თქვენ სრულად შეგიძლიათ ჩაითვალოთ ის დღგ, რომელიც „გამიჯნულია“ და პირდაპირ მიეკუთვნება დღგ-ის 18 %-იანი განაკვეთით დასაბეგრ ოპერაციებს ან ჩათვლის უფლების მქონე გათავისუფლებულ ოპერაციებს. თქვენ საერთოდ ვერ ჩაითვლით იმ დღგ-ს, რომელიც „გამიჯნულია“ და პირდაპირ მიეკუთვნება ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებულ ოპერაციებს. ხოლო თუ ასეთი „გამიჯნა“ შეუძლებელია, მაშინ დღგ-ს ჩაითვლით საერთო ბრუნვაში ჩათვლის უფლების მქონე ოპერაციების ხვედრითი წილის პროპორციულად (იხ. საგადასახადო კოდექსის 177-ე მუხლი).

ჩვენ არ მოგვიხდენია იმის შეფასება, რამდენად არის თქვენი ოპერაციები გათავისუფლებული ჩათვლის უფლებით ან დასაბეგრია დღგ-ით (ამ უკანასკნელისთვის გაცილებით მეტი კონკრეტული გვჭირდება), თუმცა, თქვენი კითხვიდან და სსკ-ის მოქმედი მოთხოვნებიდან გამომდინარე, თქვენი მიზნდება არ არის დაკავშირებული ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებულ ოპერაციებთან და დაკავშირებულია (ან დაკავშირებული იქნება სამომავლოდ) 18%-ით დასაბეგრ ან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულ ოპერაციებთან. აქედან გამომდინარე დღგ-ს ჩათვლის მიღების უფლება თქვენს კომპანიას აქვს საგადასახადო კოდექსის XXVI თავით დადგენილი მოთხოვნების (ჩათვლის ვადები, წარმომადგელობითი ხარჯების დღგ-ს ჩათვლის გამორიცხვა და ა.შ.) გათვალისწინების პირობებში.

კითხვა:

ვართ რეგისტრირებული ააიპ (დღგ-ს გადამხდელი,რადგანვენევით ეკონომიკურ საქმიანობასაც). უცხოური სანარმოო ფილიალმა (x-ორგანიზაციამ) დაგვიდო სერვის ხელშეკრულება, გავუწიეთ მომსახურება და ჩავგვირიცხა თანხა. აღნიშნული ხელშეკრულება ემსახურება პროექტის განხორციელებას, რომელიც საერთაშო-

რისო ხელშეკრულების ფარგლებში განთავისუფლებულია დღგ-სგან. დადებული ხელშეკრულების ბოლოს წერია, რომ მისაღები თანხა არის განთავისუფლებული დღგ-სგან 996 ბრძანების ფარგლებში და დღგ-ს შეღავათით მოსარგებლეთა რეესტრშიც იძებნება შესაბამისი დასახელებით და ამ ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო ნომრით. გვაინტერესებს, ოპერაცია უნდა დაიბეგროს თუ არა დღგ-თი?

პასუხი:

თუ თქვენ მიერ აღწერილი პირობები ნამდვილად სრულდება (მიწოდებას ათავისუფლებს მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულება, მიმღები პირი არის rs.ge-ზე გამოქვეყნებულ შეღავათით მოსარგებლე პირთა რეესტრში, მიწოდება ხდება ამავე რეესტრში მითითებული მოქმედი პროექტის ფარგლებში), მაშინ ეს ოპერაცია დღგ-ით დაბეგვრისგან გათავისუფლდება.

კითხვა:

შპს-ს შეძენილი აქვს ავტომობილი ტრაილერები, რომლითაც სხვადასხვა მიმართულებით უნდა გადაზიდოს ავტომობილები, ფოთი - ბათუმიდან ყაზახეთში, უზბეკეთში, აზერბაიჯანში და ა.შ. გვაინტერესებს, განეკუთვნება თუ არა ეს საერთაშორისო გადაზიდვას და განთავისუფლებული ვართ ამ ოპერაციებით დღგ-ან?

პასუხი:

თუ ეს გადაზიდვა ერთიანი სატრანსპორტო დოკუმენტით ხორციელდება და დაცულია მოქმედი საგადასახადო კოდექსის მოთხოვნები, კერძოდ, საქონელი გადაზიდვის დაწყებიდანვე მოქცეულია 4-დან ერთ-ერთ სასაქონლო ოპერაციაში (ექსპორტი, რე-ექსპორტი, გარე გადამუშავება, ტრანზიტი), მაშინ იგი სსკ-ის 172-ე მუხლის 1 ნაწილის "თ" ქვეპუნქტით ჩაითვლება საერთაშორისო გადაზიდვის სატრანსპორტო მომსახურებად და დღგ-ისგან გათავისუფლდება ჩათვლის უფლებით.

კითხვა:

გთხოვთ მიპასუხოთ:

- 1) როდესაც რეზიდენტი საწარმო ეწევა სხვა ქვეყნებში ვაჭრობას (ქვეყანაში ყიდულობს და ქვეყანაში ყიდის), ეს ოპერაცია რეექსპორტად კვალიფიცირდება?
- 2) საგადასახადო კუთხით, რა ვალდებულებები უჩნდება ასეთი ოპერაციების დროს საწარმოს?
- 3) საწარმო არაა დღგ-ს გადამხდელი, რეკომენდირებულია დღგ-ს გადამხდელად დადგომა?

პასუხი:

1. რეექსპორტი არის საქართველოდან უცხოური საქონლის გატანა საზღვარგარეთ, რაც თქვენს შემთხვევაში, სავაურაუდოდ, არ ხდება, რამდენადაც თქვენი კითხვიდან გამომდინარე, საქონელს ყიდულობთ ერთ უცხო ქვეყანაში და ყიდით მეორე უცხო ქვეყანაში.
2. თუ ეს ოპერაციები სრულად საქართველოს ტერიტორიის გარეთ ხდება (შეძენაც და რეალიზაციაც), მაშინ აღნიშნული ოპერაციის მიწოდების ადგილად სსკ-ის 162-ე მუხლის 1 და 2 ნაწილების მიხედვით არ ითვლება საქართველო და ასეთი ოპერაციები საქართველოში დღგ-ით დაბეგვრას არ ექვემდებარება. გარდა ამისა, სსკ-ის 175-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა ქვეპუნქტით დღგ-ის გადამხდელ პირს უფლება აქვს, ჩაითვალოს უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული საქართველოში გადახდილი დღგ სსკ-ის XXVI თავით (დღგ-ის ჩათვლა) გათვალისწინებული სხვა მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში (ჩათვლის ვადები, წარმომადგებლობით ხარჯებზე დღგ-ის ჩათვლის გამორიცხვა და ა.შ.).
3. სსკ-ის 165-ე მუხლის 1 ნაწილის მიხედვით, უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული ბრუნვები არ გაითვალისწინება სავალდებულო რეგისტრაციის ე. წ. 100 000 ლარის სათვალავში და არ წარმოშობს დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციას, აქედან გამომდინარე საწარმო არ არის ვალდებული, დარეგისტრირდეს დღგ-ის გადამხდელად. დღგ-ს გადამხდელად ნებაყოფლობითი რეგისტრაციის საკითხი მან თავად უნდა გადაწყვიტოს საკუთარი სპეციფიკის გათვალისწინებით.

ინფორმაცია ბირჟებიდან

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის გაცვლითი კურსები უცხოური ვალუტების მიმართ 2022 წლის ივლისში

თარიღი	ბულგარული ლემი	დანიური კრონა	ევრო	ფუნტი სტერლინგი	ისლანდიური კრონა	სერბული დინარი	ნორვეგიული კრონა	პოლონური გლოტი	რუმინული ლეი	უკრაინული ფირინი	შვედური კრონა	შვეიცარული ფრანკი	ჩეხური კრონა	ამერიკული დოლარი
	1	10	1	1	100	100	10	10	10	100	10	1	10	1
01.07.22	1,5600	4,1003	3,0504	3,5503	2,1897	2,5982	2,9513	6,5082	6,1682	0,7688	2,8458	3,0522	1,2330	2,9283
02.07.22	1,5551	4,0871	3,0403	3,5108	2,1922	2,5910	2,9314	6,4449	6,1471	0,7609	2,8222	3,0304	1,2286	2,9077
03.07.22	1,5551	4,0871	3,0403	3,5108	2,1922	2,5910	2,9314	6,4449	6,1471	0,7609	2,8222	3,0304	1,2286	2,9077
04.07.22	1,5551	4,0871	3,0403	3,5108	2,1922	2,5910	2,9314	6,4449	6,1471	0,7609	2,8222	3,0304	1,2286	2,9077
05.07.22	1,5374	4,0412	3,0062	3,4888	2,1583	2,5615	2,9182	6,3876	6,0805	0,7508	2,7967	2,9973	1,2151	2,8762
06.07.22	1,5122	3,9752	2,9574	3,4564	2,1229	2,5189	2,8808	6,2495	5,9820	0,7297	2,7447	2,9739	1,1950	2,8710
07.07.22	1,5163	3,9817	2,9625	3,4634	2,1394	2,5236	2,8765	6,1869	5,9897	0,7194	2,7553	2,9893	1,1958	2,9038
08.07.22	1,5184	3,9903	2,9690	3,4949	2,1312	2,5292	2,8819	6,2105	6,0039	0,7230	2,7661	2,9958	1,1980	2,9119
09.07.22	1,4987	3,9404	2,9327	3,4649	2,1023	2,4976	2,8569	6,1253	5,9320	0,7221	2,7386	2,9594	1,1863	2,8896
10.07.22	1,4987	3,9404	2,9327	3,4649	2,1023	2,4976	2,8569	6,1253	5,9320	0,7221	2,7386	2,9594	1,1863	2,8896
11.07.22	1,4987	3,9404	2,9327	3,4649	2,1023	2,4976	2,8569	6,1253	5,9320	0,7221	2,7386	2,9594	1,1863	2,8896
12.07.22	1,4908	3,9180	2,9156	3,4472	2,0931	2,4837	2,8260	6,0774	5,8984	0,7132	2,7252	2,9403	1,1856	2,8830
13.07.22	1,4718	3,8693	2,8788	3,4037	2,0726	2,4522	2,8063	5,9717	5,8255	0,6992	2,7050	2,9165	1,1700	2,8745
14.07.22	1,4728	3,8719	2,8815	3,4128	2,0834	2,4544	2,8063	5,9656	5,8311	0,7030	2,7147	2,9305	1,1820	2,8643
15.07.22	1,4632	3,8447	2,8613	3,3808	2,0631	2,4374	2,7902	5,9375	5,7900	0,7030	2,6964	2,9020	1,1720	2,8559
16.07.22	1,4649	3,8505	2,8658	3,3772	2,0603	2,4415	2,7902	5,9623	5,8014	0,7091	2,7029	2,9101	1,1696	2,8504
17.07.22	1,4649	3,8505	2,8658	3,3772	2,0603	2,4415	2,7902	5,9623	5,8014	0,7091	2,7029	2,9101	1,1696	2,8504
18.07.22	1,4649	3,8505	2,8658	3,3772	2,0603	2,4415	2,7902	5,9623	5,8014	0,7091	2,7029	2,9101	1,1696	2,8504
19.07.22	1,4717	3,8666	2,8782	3,3955	2,0722	2,4526	2,8038	6,0308	5,8267	0,7144	2,7262	2,9033	1,1742	2,8348
20.07.22	1,4823	3,8942	2,8994	3,3994	2,0873	2,4693	2,8449	6,1000	5,8690	0,7275	2,7594	2,9201	1,1805	2,8281
21.07.22	1,4703	3,8549	2,8697	3,3748	2,0574	2,4452	2,8280	5,9945	5,8103	0,7188	2,7410	2,9027	1,1722	2,8203
22.07.22	1,4604	3,8373	2,8567	3,3545	2,0448	2,4335	2,8078	5,9965	5,7835	0,7118	2,7412	2,8838	1,1651	2,8045
23.07.22	1,4550	3,8224	2,8456	3,3429	2,0401	2,4237	2,8030	5,9802	5,7698	0,7147	2,7312	2,8986	1,1593	2,7986
24.07.22	1,4550	3,8224	2,8456	3,3429	2,0401	2,4237	2,8030	5,9802	5,7698	0,7147	2,7312	2,8986	1,1593	2,7986
25.07.22	1,4550	3,8224	2,8456	3,3429	2,0401	2,4237	2,8030	5,9802	5,7698	0,7147	2,7312	2,8986	1,1593	2,7986
26.07.22	1,4593	3,8328	2,8534	3,3606	2,0454	2,4298	2,8298	6,0588	5,7827	0,7211	2,7435	2,8969	1,1630	2,7917
27.07.22	1,4479	3,7989	2,8282	3,3441	2,0332	2,4096	2,8243	5,9789	5,7344	0,7066	2,7078	2,8903	1,1507	2,7886
28.07.22	1,4420	3,7892	2,8208	3,3522	2,0279	2,4026	2,8319	5,8920	5,7169	0,6993	2,6987	2,8910	1,1483	2,7791
29.07.22	1,4367	3,7709	2,8071	3,3565	2,0215	2,3938	2,8416	5,8581	5,6899	0,6884	2,6945	2,8821	1,1407	2,7703
30.07.22	1,4464	3,8018	2,8299	3,3650	2,0462	2,4108	2,8584	5,9789	5,7341	0,7012	2,7238	2,9043	1,1506	2,7652
31.07.22	1,4464	3,8018	2,8299	3,3650	2,0462	2,4108	2,8584	5,9789	5,7341	0,7012	2,7238	2,9043	1,1506	2,7652

თარიღი	კანადური დოლარი	ავსტრალიური დოლარი	ეგვიპტური პირამიდა	თურქული ლირა	იაპონური იენი	აგს დირჰამი	ირანული რიალი	ისრაელის შიკელი	სინგაპურული დოლარი	შვეიცარიული ფრანკი	ჩინური იუანი	ჰონგკონგური დოლარი	ინდური რუპია	ახალგადადებული დოლარი
	1	1	10	1	100	10	10000	10	1	1	10	10	100	1
01.07.22	2,2677	2,0141	1,5575	0,1762	2,1470	7,9725	0,6972	8,3879	2,1032	9,5415	4,3722	3,7321	3,7079	1,8196
02.07.22	2,2498	1,9764	1,5467	0,1736	2,1480	7,9164	0,6923	8,2509	2,0854	9,4806	4,3405	3,7055	3,6787	1,7935
03.07.22	2,2498	1,9764	1,5467	0,1736	2,1480	7,9164	0,6923	8,2509	2,0854	9,4806	4,3405	3,7055	3,6787	1,7935
04.07.22	2,2498	1,9764	1,5467	0,1736	2,1480	7,9164	0,6923	8,2509	2,0854	9,4806	4,3405	3,7055	3,6787	1,7935
05.07.22	2,2393	1,9806	1,5265	0,1710	2,1238	7,8307	0,6848	8,2170	2,0608	9,3748	4,3002	3,6655	3,6431	1,7968
06.07.22	2,2206	1,9529	1,5211	0,1691	2,1134	7,8165	0,6836	8,1475	2,0476	9,3457	4,2826	3,6588	3,6172	1,7685
07.07.22	2,2268	1,9749	1,5381	0,1683	2,1446	7,9058	0,6914	8,2685	2,0679	9,4463	4,3313	3,7004	3,6617	1,7911
08.07.22	2,2427	1,9923	1,5408	0,1685	2,1432	7,9279	0,6933	8,3467	2,0790	9,4727	4,3446	3,7103	3,6777	1,8007
09.07.22	2,2252	1,9748	1,5319	0,1668	2,1266	7,8671	0,6880	8,3128	2,0618	9,3940	4,3115	3,6815	3,6460	1,7829
10.07.22	2,2252	1,9748	1,5319	0,1668	2,1266	7,8671	0,6880	8,3128	2,0618	9,3940	4,3115	3,6815	3,6460	1,7829
11.07.22	2,2252	1,9748	1,5319	0,1668	2,1266	7,8671	0,6880	8,3128	2,0618	9,3940	4,3115	3,6815	3,6460	1,7829
12.07.22	2,2182	1,9573	1,5284	0,1659	2,1039	7,8492	0,6864	8,3014	2,0552	9,3665	4,2977	3,6728	3,6293	1,7736
13.07.22	2,2061	1,9328	1,5226	0,1653	2,0985	7,8260	0,6844	8,2406	2,0429	9,3298	4,2745	3,6618	3,6111	1,7566
14.07.22	2,2030	1,9454	1,5174	0,1642	2,0903	7,7983	0,6820	8,2547	2,0395	9,3027	4,2598	3,6488	3,5968	1,7604
15.07.22	2,1771	1,9209	1,5132	0,1633	2,0558	7,7754	0,6800	8,2227	2,0353	9,2664	4,2337	3,6381	3,5753	1,7398
16.07.22	2,1790	1,9260	1,5099	0,1636	2,0552	7,7604	0,6787	8,1676	2,0322	9,2545	4,2184	3,6311	3,5685	1,7504
17.07.22	2,1790	1,9260	1,5099	0,1636	2,0552	7,7604	0,6787	8,1676	2,0322	9,2545	4,2184	3,6311	3,5685	1,7504
18.07.22	2,1790	1,9260	1,5099	0,1636	2,0552	7,7604	0,6787	8,1676	2,0322	9,2545	4,2184	3,6311	3,5685	1,7504
19.07.22	2,1840	1,9367	1,5002	0,1619	2,0512	7,7179	0,6750	8,2018	2,0304	9,2129	4,2090	3,6112	3,5445	1,7502
20.07.22	2,1854	1,9514	1,4940	0,1609	2,0561	7,6997	0,6734	8,2344	2,0312	9,1971	4,1951	3,6027	3,5374	1,7630
21.07.22	2,1876	1,9452	1,4884	0,1603	2,0403	7,6785	0,6715	8,1931	2,0229	9,1628	4,1753	3,5927	3,5259	1,7587
22.07.22	2,1717	1,9281	1,4821	0,1586	2,0224	7,6354	0,6677	8,1318	2,0118	9,1144	4,1446	3,5729	3,5077	1,7379
23.07.22	2,1754	1,9389	1,4793	0,1576	2,0377	7,6194	0,6663	8,1180	2,0134	9,1011	4,1381	3,5652	3,5047	1,7477
24.07.22	2,1754	1,9389	1,4793	0,1576	2,0377	7,6194	0,6663	8,1180	2,0134	9,1011	4,1381	3,5652	3,5047	1,7477
25.07.22	2,1754	1,9389	1,4793	0,1576	2,0377	7,6194	0,6663	8,1180	2,0134	9,1011	4,1381	3,5652	3,5047	1,7477
26.07.22	2,1685	1,9405	1,4744	0,1565	2,0466	7,6006	0,6647	8,1147	2,0151	9,0905	4,1381	3,5566	3,5012	1,7504
27.07.22	2,1659	1,9333	1,4726	0,1563	2,0405	7,5924	0,6640	8,0975	2,0081	9,0745	4,1240	3,5528	3,4959	1,7367
28.07.22	2,1614	1,9304	1,4672	0,1553	2,0331	7,5663	0,6617	8,1130	2,0034	9,0436	4,1161	3,5404	3,4782	1,7330
29.07.22	2,1611	1,9337	1,4629	0,1545	2,0428	7,5423	0,6596	8,0757	2,0031	9,0208	4,1051	3,5291	3,4735	1,7367
30.07.22	2,1556	1,9332	1,4612	0,1544	2,0766	7,5285	0,6584	8,1382	2,0054	9,0160	4,1041	3,5225	3,4887	1,7407
31.07.22	2,1556	1,9332	1,4612	0,1544	2,0766	7,5285	0,6584	8,1382	2,0054	9,0160	4,1041	3,5225	3,4887	1,7407

თარიღი	რუსული რუბლი	ამერიკანული დოლარი	ბელარუსული რუბლი	თურქმენული მანათი	მოლდავური ლეი	სომხური დრამი	ტაჯიკური სომონი	უზბეკური სუმი	უკრაინული გრივნა	ყაზახური თენგე	ყირგიზული სომი	სამხრეთ აფრიკული რანდი	ბრაზილიური რიალი
	100	1	10000	10	10	1000	10	1000	10	100	100	10	1
01.07.22	5,4223	1,7276	1,0655	8,3666	1,5311	7,1970	2,6090	0,2696	0,9891	0,6227	3,6538	1,7973	0,5650
02.07.22	5,3109	1,7175	1,0580	8,3077	1,5200	7,1618	2,5906	0,2676	0,9842	0,6269	3,6322	1,7783	0,5532
03.07.22	5,3109	1,7175	1,0580	8,3077	1,5200	7,1618	2,5906	0,2676	0,9842	0,6269	3,6322	1,7783	0,5532
04.07.22	5,3109	1,7175	1,0580	8,3077	1,5200	7,1618	2,5906	0,2676	0,9842	0,6269	3,6322	1,7783	0,5532
05.07.22	5,1945	1,6989	1,0466	8,2177	1,5035	7,0886	2,5625	0,2652	0,9736	0,6154	3,5928	1,7701	0,5394
06.07.22	4,6618	1,6958	1,0447	8,2029	1,5002	7,0758	2,5579	0,2649	0,9722	0,6163	3,5776	1,7517	0,5387
07.07.22	4,5552	1,7137	1,0566	8,2966	1,5087	7,1303	2,7669	0,2671	0,9855	0,6221	3,6208	1,7375	0,5389
08.07.22	4,5526	1,7183	1,0596	8,3197	1,5119	7,0979	2,6907	0,2677	0,9855	0,6080	3,6407	1,7406	0,5364
09.07.22	4,5856	1,7052	1,0515	8,2560	1,4995	7,0221	2,6701	0,2648	0,9783	0,6142	3,6128	1,7099	0,5410
10.07.22	4,5856	1,7052	1,0515	8,2560	1,4995	7,0221	2,6701	0,2648	0,9783	0,6142	3,6128	1,7099	0,5410
11.07.22	4,5856	1,7052	1,0515	8,2560	1,4995	7,0221	2,6701	0,2648	0,9783	0,6142	3,6128	1,7099	0,5410
12.07.22	4,6312	1,7013	1,0491	8,2371	1,4952	7,0061	2,6516	0,2642	0,9758	0,6112	3,4901	1,6962	0,5485
13.07.22	4,8328	1,6964	1,0460	8,2129	1,4887	6,9939	2,7323	0,2638	0,9732	0,6060	3,4999	1,6803	0,5345
14.07.22	4,8504	1,6904	1,0422	8,1837	1,4849	6,9248	2,7226	0,2633	0,9696	0,6015	3,5368	1,6866	0,5266
15.07.22	4,8160	1,6884	1,0392	8,1597	1,4794	6,9033	2,7211	0,2613	0,9652	0,5953	3,5201	1,6705	0,5296
16.07.22	4,8972	1,6851	1,0372	8,1440	1,4763	6,8787	2,7158	0,2604	0,9651	0,5915	3,5106	1,6597	0,5254
17.07.22	4,8972	1,6851	1,0372	8,1440	1,4763	6,8787	2,7158	0,2604	0,9651	0,5915	3,5106	1,6597	0,5254
18.07.22	4,8972	1,6851	1,0372	8,1440	1,4763	6,8787	2,7158	0,2604	0,9651	0,5915	3,5106	1,6597	0,5254
19.07.22	4,9712	1,6739	1,1258	8,0994	1,4677	6,8267	2,7010	0,2586	0,9614	0,5836	3,4942	1,6599	0,5242
20.07.22	5,0280	1,6700	1,1231	8,0803	1,4638	6,7983	2,6946	0,2583	0,9572	0,5900	3,5051	1,6670	0,5202
21.07.22	5,0985	1,6652	1,1200	8,0580	1,4617	6,7714	2,6872	0,2582	0,9545	0,5855	3,5056	1,6486	0,5211
22.07.22	4,8430	1,6558	1,1137	8,0129	1,4533	6,7766	2,6721	0,2572	0,7634	0,5815	3,4878	1,6334	0,5127
23.07.22	4,7550	1,6524	1,1114	7,9960	1,4504	6,7878	2,6665	0,2567	0,7647	0,5794	3,4772	1,6522	0,5089
24.07.22	4,7550	1,6524	1,1114	7,9960	1,4504	6,7878	2,6665	0,2567	0,7647	0,5794	3,4772	1,6522	0,5089
25.07.22	4,7550	1,6524	1,1114	7,9960	1,4504	6,7878	2,6665	0,2567	0,7647	0,5794	3,4772	1,6522	0,5089
26.07.22	4,7726	1,6464	1,1087	7,9763	1,4465	6,8152	2,7078	0,2557	0,7667	0,5835	3,4677	1,6646	0,5078
27.07.22	4,7200	1,6452	1,1074	7,9674	1,4445	6,8368	2,7048	0,2543	0,7562	0,5825	3,4571	1,6608	0,5204
28.07.22	4,5683	1,6390	1,1036	7,9403	1,4392	6,8367	2,7106	0,2538	0,7531	0,5819	3,4222	1,6475	0,5195
29.07.22	4,5601	1,6338	1,1002	7,9151	1,4345	6,8108	2,7020	0,2536	0,7512	0,5784	3,3855	1,6474	0,5283
30.07.22	4,4581	1,6308	1,0981	7,9006	1,4324	6,7878	2,6992	0,2533	0,7491	0,5791	3,3566	1,6745	0,5334
31.07.22	4,4581	1,6308	1,0981	7,9006	1,4324	6,7878	2,6992	0,2533	0,7491	0,5791	3,3566	1,6745	0,5334

ფინანსური მართვა აუდიტი და მარნეულებელი მომსახურება საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგება

ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალი ბუღალტერი, რომელიც პასუხისმგებელია დამქირავებელი ორგანიზაციის საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ან დამტკიცებაზე, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ფინანსური ანგარიშგების წარდგენისთვის დადგენილი სათანადო საფუძვლების შესაბამისად.

პროფესიონალმა ბუღალტერმა არ უნდა დაუშვას, რომ ინტერესთა კონფლიქტმა გამოიწვიოს მისი პროფესიული ან საქმიანი გადანწყვეტილებების კომპრომენტირება.

